



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 24-242605879
თარიღი: 27/02/2026

ადრესატი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: გამსახურდიას 45

ზ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ მამუკა წოწერიას

ბატონო მამუკა,

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსი“-ს მოთხოვნის შესაბამისად (86 მუხლი), წარმოგიდგინებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

დანართი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე განმარტებითი ბარათი-30 ფურცელი;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფინანსური ანგარიში-69 ფურცელი.

სულ: 99 ფურცელი.

პატივისცემით,

დათო კოდუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე

განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი კანონმდებლობით დაწესებული ვადის გათვალისწინებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერს №30 დადგენილებით, 70500.0 ათასი ლარის მოცულობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში რიგ გარემოებათა გათვალისწინებით, (მათ შორის წლის დასაწყისში არსებული ნაშთების, ძირითადადში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების, დელეგირებული თანხების, ზოგიერთი შიდა ცვლილებების დაზუსტების სახით ბიუჯეტში საკრებულოს დადგენილებით შევიდა ცვლილებები 10-შემთხვევაში, რის შემდგომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა წლის ბოლოსათვის მთლიანობაში განისაზღვრა 112,798.6 ათასი ლარის, მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტის 79,308.9 ათასი ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 33,489.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, შემოსავლების და გადასახდელების შესრულების მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური პარამეტრებით და მაჩვენებლებით.

ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მთლიანმა მოცულობამ ფაქტობრივად შეადგინა **105069.3** ათასი ლარი, ხოლო შემოსავლების მოცულობამ **102547,9** ათასი ლარი ნაცვლად დაზუსტებული გეგმის 103631.5 ათასი ლარისა ანუ 1083.6 ათასი ლარით ნაკლები; ეს თანხა არის ძირითადადში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი, რაც ვერ იქნა ათვისებული, აღნიშნული აიხსნება შემდეგი გარემოებით: გასული წლის ბოლო თვეებში მთავრობის განკარგულებით გამოყოფილ თანხებზე ცხადია სრულად ვერ განხორციელდა ტენდერების გამოცხადება, შერჩევა-შეფასება, შესაბამისად ხელშეკრულებათა დადება და თანხების მოთხოვნა ცენტრალური ბიუჯეტიდან, რაც აუცილებელი პროცედურაა.

ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობიდან საკუთრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **72,048.2** ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა 72,002.4 ათასი ლარი ანუ შესრულება უტოლდება 100%-ს (99.9%).

საკუთრივი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაში ძირითადი - 83.3 % არის საგადასახადო შემოსვლები, (დღგ და ქონების გადასახადი) რომლის დაზუსტებული

საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა **59,881.8** ათას ლარს შესრულებამ შეადგინა **59,987.6** ათასი ლარი, მათ შორის დღგ 49,165.1 ათასი ლარი, ქონების გადასახადმა 10,822.5 ათასი ლარი, საგადასახადო შემოსავლები შემოსულია 105.8 ათასი ლარით მეტი.

გრანტები საკუთრივ ბიუჯეტში მთლიანობაში პროგნოზირებული იყო 5769.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად არის შემოსული ბიუჯეტში. მათ შორის 36.5 ათასი ლარი საერთაშორისო ორგანიზაციიდან, 420.8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული საქმიანობისთვის, 3800.0 ათასი ლარი სპეციალური ტრანსფერი ფინანსური დახმარების სახით, 1511.7 ათასი ლარი კაპიტალური ტრანსფერი საჯარო სკოლებისთვის.

სხვა შემოსავლები მთლიანობაში შემოსულია 6245.8 ათასი ლარი, რაც პროგნოზირებული თანხის 99%-ს შეადგენს.

სხვა შემოსავლებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი 50%-ზე მეტი (თუმცა აღნიშნული არ არის დადებითი მაჩვენებელი) ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლებია.

სხვადასხვა პოზიციების მიხედვით ჯარიმებიდან შემოსულია სულ 3648,6 ათასი ლარი ანუ სხვა შემოსავლების 58.4 პროცენტი. თვით ჯარიმებიდან შემოსავლებში ძირითადი არის ჯარიმები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის და იგი შეადგენს 3212.2 ათას ლარს.

სხვა შემოსავლების საერთო თანხიდან მნიშვნელოვანი თანხა 802.0 ათასი ლარი არის შემოსული დასუფთავების მოსაკრებლიდან. ამ მიმართულებით წლების მიხედვით აღნიშნული მოსაკრებლის მობილიზების მაჩვენებელი უმჯობესდება 2022 წელს შემოსულ თანხასთან შედარებით 2025 წელს დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 226.5 ათასი ლარით მეტი ანუ გაზრდილია 39.4 პროცენტით. 2026 წელს ამ სახეში პროგნოზირებულია 900.0 ათასი ლარის მობილიზება.

წლის განმავლობაში კონტროლის გამკაცრების შედეგად 391.4 ათასი ლარი შემოვიდა სახელმწიფო პირობების დარღვევის გამო, რაც 2024 წელს ამ დანიშნულებით შემოსულ თანხაზე ორჯერ მეტია. აღნიშნული ხელს უწყობს დაგეგმილი (განსაკუთრებით ინფრასტრუქტურულ) სამუშაოების დროულად შესრულებას და შესაბამისად გამოყოფილი თანხების დროულად ათვისებას.

შემოსავლები მიწის და ქონების იჯარიდან 2025 წელს მთლიანობაში შემოსულია **482.2** ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების კიდევ რიგი სხვა სახეობების საპროგნოზო მაჩვენებლები ძირითადად შესრულებულია.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებას, ამ სახეში საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულებას დააკლდა 1278.6 ათასი ლარი, რაც ძირითადად განაპირობა გამოცხადებულმა და ვერ შემდგარმა აუქციონებმა.

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტებით მიღებული თანხები შემოსულობებში აისახა მთლიანობაში 30545.5 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი

ტრანსფერი დელეგირებულ უფლებამოსილებათა შესასრულებლად 1779,1 ათასი ლარის და კაპიტალური გრანტი 28766,4 ათასი ლარის ოდენობით.

მონაცემები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2025 წლის დასაწყისში და წლის ბოლოსათვის არსებული ფულადი ნაშთების თაობაზე იძლევა შემდეგ სურათს:

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთი მთლიანობაში შეადგენდა 5368.3 ათას ლარს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 1907.6 ათას ლარს, ადგილობრივი ბიუჯეტით 3460.7 ათასი ლარი 2025 წლის ბოლოსა და 2026 წლის დასაწყისისათვის მთლიანმა ნაშთმა შეადგინა 5465,5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 3400.5 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 2065,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ოდენობით 1493,5 ათასი ლარით ზრდა ძირითადად განაპირობა წლის ბოლოსათვის მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე კანონით გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად საჭირო დრომ.

ამასთან, ამ ეტაპზე წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთი თებერვლის თვის მდგომარეობით შემცირებულია.

2025 წელს დეკემბრის თვეში საქართველოს მთავრობის 2025 წლის 5 დეკემბრის N2032 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა განკარგულებით პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებით სამუშაოს შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიების, რომელმაც ჯამში შეადგინა ჯამში 94.1 ათასი ლარი, გამოყენების ნება დაერთო მუნიციპალიტეტს სამი ახალი პროექტის განსახორციელებლად.

უნდა აღინიშნოს რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში მერიამ უზრუნველყო მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებიდან დარჩენილი თავისუფალი თანხების გამოყენება (გაცოცხლება) ახალი პროექტებისათვის საერთო თანხით 1889,0 ათასი ლარის ოდენობით.

ამჟამადაც მზადდება მასალები 2025 წელს შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიების ახალი დამატებითი პროექტების განსახორციელებლად.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთს 2025 წლის დასაწყისისათვის გარკვეული მიზეზებით დარჩენილი იყო 3460.7 ათასი ლარი, რომელიც წლის ბოლომდე შემცირდა 1395.7 ათასი ლარით, და შეადგინა 2065.0 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნულ ნაშთსაც აქვს ახსნა: წლის ბოლოსთვის განათლების სფეროში გამოყოფილი იქნა ადგილობრივი ბიუჯეტის ქვემდებარე დიდი ოდენობის დელეგირებული თანხები, რომლის განკარგვა პროცედურების დაცვით ობიექტური მიზეზების გამო ცხადია ვერ მოხერხდა.

გადასახდელების ნაწილში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაზუსტებული გადასახდელების მთლიანი მოცულობა 2025 წელს განისაზღვრა 112,798.6 ათასი ლარის, მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტით 79308.9 ათასი ლარის ოდენობით.

ფაქტიურმა შესრულებამ მთლიანობაში შეადგინა 104972.1 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი ბიუჯეტით 75919.5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაციის დარგი.

აღნიშნული დარგით მთლიანმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 45388.6 ათასი ლარი ანუ მთლიანი მოცულობის 43.2%.

ასევე საკუთრივ ბიუჯეტით ფაქტიური გადასახდელები ამავე სფეროში არის 17756,8 ათასი ლარი, რაც მთლიანი მოცულობის 22.4 პროცენტს შეადგენს.

ინფრასტრუქტურის დარგით ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის **საგზაო ინფრასტრუქტურაზე**, რისთვისაც მთლიანობაში გამოიყო 19105,6 ათასი ლარი, აღნიშნული დარგის 42.1 %. მათ შორის ძირითადი 16,966.7 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები.

ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციაზე (კოდი 02 01 02) 2025 წელს დაგეგმილი იყო 79.6 ათასი ლარი და აქედან ათვისებულია 58.3 ათასი ლარი;

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ხელშეწყობის პროგრამაზე (კოდი 020103) 2025 წლის გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 486.2 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 484.0 ათასი ლარი.

2025 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესყიდვაზე მიიმართა 97.9 ათასი ლარი. ამავე წელს, საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ხუთ ლოკაციაზე განხორციელდა შუქნიშნების ავტომატური მართვის არსებული კონტროლერების დემონტაჟი, ახალი კონტროლერების მონტაჟი და მათი ექსპლუატაციაში გაშვება, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯულია 386.1 ათასი ლარი.

წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გამოიყო 804.0 ათასი ლარი, აქედან 70.4 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, ხოლო 733.6 ათას ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილ თანხებს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 1213.9 ათასი ლარი, აქედან 859.7 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 354.1 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია სახსრები - 44.2 ათასი ლარის ოდენობით. დაფინანსდა შემდეგი პროექტი:

- კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქუჩა N30 და N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 462.2 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 8832.2 ათასი ლარის ოდენობით. სამუშაოები განხორციელებულია სხვადასხვა ლოკაციებზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ სტიქიასთან დაკავშირებით მთავრობის ბოლო 2025 წლის განკარგულება გამოიცა დეკემბრის თვეში, რის გამო საჭირო პროცედურების გავლის გათვალისწინებით შესაძლებელი ვერ გახდა დასახელებული თანხის სრულად გამოყოფა.

სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 656.0 ათასი ლარი, აქედან 652.4 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს.

გარე განათებისათვის წლის განმავლობაში გამოიყო 1359.1 ათასი ლარი მთლიანად ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით.

5166.6 ათასი ლარი მიიმართა მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია მერიის დაფუძნებული შპს მუნიციპალური ტრანსპორტი.

შპს მუნიციპალური ტრანსპორტის სარგებლობაში არსებული 42 ერთეული სამგზავრო ავტობუსი ყოველდღიურად ოპერირებდა 32 მარშრუტზე, აქედან 10 ავტობუსი ქალაქის ტერიტორიაზე და დანარჩენი სოფლის მარშრუტებზე მომსახურებისათვის. ავტობუსები დღეში გადიან დაახლოებით 8000 კმ-ს, წელიწადში 2700 000 კმ-ს.

2025 წელს სამგზავრო ავტობუსებმა გადაიყვანეს 2587503 მგზავრი, საშუალოდ დღეში 7089, ერთი მგზავრის გადაყვანა დაჯდა 2.63 ლარი. მუნიციპალურ ტრანსპორტს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ გააჩნია პრობლემები, რაც უკავშირდება საჭირო ფინანსური ბაზის შექმნას, საკუთარი ფულადი სახსრების გაზრდის ღონისძიებებს.

შპს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 2025 წელს შეადგინა 6807,8 ათასი ლარი. აქედან ძირითადი 5166,6 ათასი ლარი არის ბიუჯეტიდან

მიღებული სუბსიდია- 75.9 %, ხოლო საკუთარი შემოსავლები არის 1641.2 ათასი ლარი ანუ 24 პროცენტი.

ამასთან, მერიას მიაჩნია, რომ საკუთარი შემოსავლების წილი უნდა გადიდდეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კერძო მიკრო ავტობუსების პარალელურად ფუნქციონირების მოწესრიგებამ-სამგზავრო ავტობუსების გაჩერებასთან და დაწესებული გრაფიკების პარალელურად მიკრო ავტობუსების მოძრაობამ. აღნიშნულ საკითხზე მერია შეიმუშავებს და წარმოადგენს წინადადებებს.

ასევე მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია მოქმედი ტარიფების გადასინჯვა. რათა შპს ტრანსპორტის საკუთარი შემოსავლები გაიზარდოს.

შემოაღნიშნული საკითხები მოითხოვს შესწავლას და განხილვას, რამდენადაც მუნიციპალიტეტის საკუთრივი მწირი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტის სფეროს საჭიროებისათვის თანხების დამატებით გამოყოფას, სუბსიდიის კიდევ უფრო გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ სუბსიდირებული თანხები დიდი ოდენობით მიიმართება სახელმწიფო სესხებით შეძენილი სამგზავრო ავტობუსების წლების მიხედვით სასესხო ვალდებულებების დაფარვაზე.

ინფრასტრუქტურის დარგით საზოგადოებრივი დანიშნულების მუნიციპალური ავტოპარკის განახლების და გაფართოების პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მიმართულია 206.1 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის მიმართულებით ძირითადად თანხები 6350.2 ათასი ლარი გამოყოფილია ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. აქედან ძირითადი თანხა 6060.4 ათასი ლარი მიიმართა ააიპ **კეთილმოწყობის ღონისძიებათა პროგრამისათვის**.

2025 წლის განმავლობაში ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება, ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 166.2 ათასი ლარი. საახალწლოდ ქალაქის განათებისათვის გაწეულ იქნა ხარჯი 136.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება, შადრევნების, შადრევნების სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაცია, გზების მოსწორება-მოხრეშვა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ამ კუთხით „ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 242.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გაწეულია ხარჯი 314.9 ათასი ლარი. მათ შორის შეძენილ იქნა 263.8 ათასი ლარის ღირებულების მქონე ტელესკოპური ამწე კალათა.

2025 წელს პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდებოდა სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან შემოსულია 64.6 ათასი ლარი, შესაბამის პერიოდში გაწეულია ხარჯი 59.0 ათასი ლარი, მათ შორის: ოფისისათვის მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის შეძენის 18.6 ათასი ლარი, ოფისის შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი 4.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის და შექმნის პროგრამისათვის (კოდი 02 07 03) 2025 წელს გამოიყო 309.5 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 286.2 ათასი ლარი, მათ შორის: 80.2 ათასი ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტში ქუჩების დასახელების და აბრების მოწყობაზე; ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული იონა მეუნარგიას სახელობის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას მოხმარდა 72.7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერიის ეზოში საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაციას 49.3 ათასი ლარი, სამისამართო კონსტრუქციების რეაბილიტაციას 7.4 ათასი ლარი.

როგორც ცნობილია **სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება** მიზნად ისახავს სამეგრელოში და მათ შორის ზუგდიდში შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნას.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფდა მოსახლეობის ინფორმირებას ტურისტული პოტენციალის შესახებ; 2025 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ვიზიტორთა ნაკადი. 2025 წელს, ძირითადი ვიზიტორების ნაკადი განისაზღვრა ევროპის ცენტრალური ქვეყნებით: საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ესპანეთი, გერმანია და სხვ. ასევე შეიმჩნევა ზრდის მაჩვენებელი აზიის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ჩინეთიდან. მზარდი ტურისტული ნაკადი ფიქსირდება ისრაელიდან და ახალი ზელანდიიდან.

ზუგდიდის ტურისტული პოტენციალი და შესაძლებლობები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მსოფლიოს წამყვან ტურისტულ გამოფენებზე (თურქეთი - „EMITT 2025“, ჩინეთი - "ITB China 2025", საფრანგეთი - „IFTM Top Resa 2025“).

აღნიშნულ გამოფენებზე სამეგრელოს და მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო მსოფლიოს წამყვანი ტურისტული კომპანიები, საერთაშორისო მედიასაშუალებები და სხვა ტურისტული ორგანიზაციები. ნიშანდობლივია, რომ გამოფენებში მონაწილეობდა 200-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი. ახალი პარტნიორების მოზიდვის მიზნით ჩატარდა B2B შეხვედრები. ტურისტული კომპანიების მიერ გამოიხატა მზარდი ინტერესი და გაიკვამა მათი ძირითადი ტურისტული პროდუქტების მიმართ არსებული მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის 02 08 პროგრამული კოდით გათვალისწინებული სამეგრელოს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებისთვის სუბსიდიის სახით გამოყოფილი 30,0 (ოცდაათი ათასი) ათასი ლარი, გაიხარჯა შემდეგი მიზნობრივით:

- ანაკლიაში საზღვაო - ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა საზეიმო კონცერტი (პროექტი „მუსიკალური საღამოების“ ფარგლებში).

- განხორციელდა მეგრული გასტრონომიული კულტურის, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების და სამეგრელოში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზუგდიდის საიმიჯო - საპრომოციო ვიდეორგოლის „ჰამო სამეგრელოს“ მომსახურების შესყიდვა.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ (კოდი 02 05) 2025 წელს დაფინანსდა მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი 11 პროექტი:

1. სადარბაზოს რეაბილიტაცია - 2
2. რეგულირებადი შლაგბაუმი - 3
3. გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - 5
4. სარდაფის და რკინის კარების რეაბილიტაცია - 1

2025 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენდა 240.0 ათას ლარს. ათვისებულია მიზნობრივად 186.2 ათასი ლარი.

მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების (კოდი 02 13) სამუშაოების მომსახურების კუთხით 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 19,6 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების, მათ შორის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი ფართების და ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებაზე გაიხარჯა 6.9 ათასი ლარი.

აუდიტორული დასკვნებისა და განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტაციის მომზადებისთვის 12,7 ათასი ლარი.

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის პროგრამით (კოდი 02 15) 2025 წელს გამოიყო ასიგნება 65.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა პროექტის: „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ და მრავალწლიანი პროექტის - „მწვანე ქალაქები“ დაფინანსებას.

გარდა საბიუჯეტო ასიგნებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, განვილილ 2025 წელს ჩატარებულია რიგი აქტივობები:

2025 წლის იანვარში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო **50,000 ევროს** ოდენობის გრანტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისგან (GIZ).

პროექტის მიზანია ურბანული ლაბორატორიის ჩართულობით წინასწარ შერჩეული სივრცის სამეზობლო განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს:

- ✓ მცირე მასშტაბიან ურბანულ ინტერვენციებს;
- ✓ სადემონსტრაციო და საინვესტიციო პროექტების კონცეფციებს.

2025 წლის იანვარში დაიწყო GIZ-ის პროექტის „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ მეორე კომპონენტის – ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია:

- ✓ „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში“;
- ✓ ავსტრიული კომპანია **All Plan**;
- ✓ საერთაშორისო ექსპერტი რაინერ სტიფტერი.

2025 წლიდან, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით და **HELVETAS Swiss Intercooperation**-თან პარტნიორობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP).

პროექტის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკისა და მისი მიმდებარე თემების გარდაქმნა მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების ცენტრად, ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და თემებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2025 წელს დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 10,570.1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 10,665.2 ათასი ლარი), აქედან 8,197.1 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი: 03 01), რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „**ზუგდიდდასუფთავების ცენტრი**“. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ 6,282.0 ათასი ლარი მიმართულ იქნა - შრომის ანაზღაურებაზე; 1,903.4 ათასი ლარი კი - საქონელსა და მომსახურებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2025 წელს მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერებისა და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდის შედეგად, გაიზარდა როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის მომსახურეობის სერვისის მიწოდების ჯერადობა და მომსახურეობის ხარისხი. ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების, საჯარო სივრცეების და ცალკეული ქუჩების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი,

უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სოფლები, ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის მქონე ობიექტები.

ეფექტურად ხორციელდებოდა ქალაქისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების პროცესი, შედეგად შემცირდა ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენების მოცულობა, გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

სეპარირების მაჩვენებლები მზარდი მონაცემებით ხასიათდებოდა და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდებოდა საკუთარი შემოსავლები, კერძოდ:

2025 წელს სეპარირებული და რეალიზებული იქნა 280 ტონა ქალაქი და მუყაო, თითქმის 2-ჯერ მეტი 2024 წელთან შედარებით და მიღებული იქნა 90.4 ათასი ლარის ფულადი შემოსავალი. სულ სეპარირებული შეგროვების დაწყებიდან რეალიზებულია 710 ტონა ქალაქი და მუყაო 200.4 ათასი ლარის ოდენობით.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად შესრულებული სამუშაოები და პროგრამის განხორციელების ინდიკატორული მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგ მონაცემებში:

- 2025 წელს მყარი ნარჩენების გატანის მომსახურეობის სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ 13000-ზე მეტ ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100% -ს; სოფლის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90 %-ს; ეკონომიკის სექტორის 1220-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 33.1 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი. 700.0 ტონით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 32.6 ათასი ტონა, ხოლო 280 ტონა ქალაქი და მუყაო (დაახლოებით 36,4 მ3) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას, დაწმენვას და რეალიზაციას;

- ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან ნაგავსაყრელში სულ გაზიდულია 24.1 ათასი ტონა, ყოველდღიურად კი, ქალაქიდან გაიზიდებოდა 67.0 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი;

- სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 8.1 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ყოველდღიურად გაიზიდებოდა 22.4 ტონა მყარი ნარჩენი;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გასულ წელს ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა - აკრეფვის წესით სუფთავდებოდა 45.7 ჰექტარი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31.1 ჰექტარი, სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში კი 14.6 ჰექტარი; გარდა ამისა, ხელით აკრეფვის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, მთავარი გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები;

- ცენტრის ძალებით ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მრავალსართულიანი სახლების ეზოები, ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ეზო, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე

ტერიტორია, სკეიტ-პარკი, „ვეტერანთა ხეივანი“, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგურისა და ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია და სხვა;

- ცენტრი მომსახურეობას უწევდა მუნიციპალიტეტის 180 - ზე მეტ სასაფლაოს;
- დღეს მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი: 03 02) 2025 წელს ათვისებული იქნა 900.0 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიძღვრება: 601.7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 74.7 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დასაფარად. ამასთან თანხები გაიხარჯა ისეთი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორცაა:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით;
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება, კერძოდ: ქვიშის დაყრა, მინდვრის საფარის დაჩხვლეტა, ნიადაგის დატკეპვნა და მინერალური სასუქის შეტანა;
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე ორ სანიტარულ კვანძს;
- ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა კბილანა ბარიერი და შესაბამისი მაჩვენებელი ნიშანი, ასევე ბულვარის ტერიტორიაზე განხორციელდა საჩრდილობლების გადახურვა ბამბუკით;
- ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მოწესრიგების მიზნით შეტანილ იქნა კვარციტული ქვიშა;
- შეძენილ იქნა კაიაკის ტიპის ნაგები თავისი ბუქსირებით;
- დაიწყო ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის დაზიანებული ნაწილების ჩანაცვლება - რეაბილიტაციის სამუშაოები.

საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ჯამმა შეადგინა: 172.5 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრებით განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

- მოეწყო ორი ღია სავაჭრო ობიექტი;
- აშენებულ იქნა 5 გასახდელი;
- ბულვარის ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრორეგულირებადი შლაგბაუმი;
- ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე სველ წერტილებთან მოეწყო სეპტიკი;
- სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა გასართობი ღონისძიებები და გადაღებულ იქნა სარეკლამო კლიპი.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2025 წლის მონაცემებით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი თემატური აქტივობები.

გასულ წელს ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“, რომელიც არის ზემოხსენებული პროგრამის განმახორციელებელი, გამოეყო ასიგნება 1 394.5 ათასი ლარი, რომელიც სრულად

ათვისებულია და უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 1 341.5 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას; 31.7 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურეობას; 21.3 ათასი ლარი სოციალურ უზრუნველყოფას.

საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბოტანიკური ბაღში შეადგინა 278,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 251,0 ათასი ლარი.

ბოტანიკური ბაღის ძალებით 2025 წელს ჩატარდა რიგი აქტივობები და პრაქტიკული ღონისძიებები მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

ა) *კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის კუთხით ბოტანიკურმა ბაღმა ღია და დახურულ სივრცეში უმასპინძლა სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის:*

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჟურნალისტთა კლუბმა "სარკმელი", საინფორმაციო ფოტომართონი "კადრის ფესტივალი 2025" გამართა პლატფორმა "ჩემი მედიასახლის" და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მხარდაჭერით, რომელშიც 35 მონაწილე მონაწილეობდა;

- ჩატარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი "ღია გაკვეთილი ბუნებაში", პროექტში 10 სკოლის 150 მოსწავლის მონაწილეობით;

ბაღში დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "დეკორატიული მეზაღობის" ღია კარის დღე გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა 50-მდე სტუდენტი;

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულმა პარტნიორმა, ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა, სასწავლო საწარმოს სტატუსი 6 წლის ვადით მიიღო. 2019 წლიდან დღემდე, ზემოხსენებულ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობით, წარმატებით ხორციელდება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მეზაღობა,“ რომელიც 23 სტუდენტმა დაამთავრა.

- ბოტანიკური ბაღი პერიოდულად მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს (შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ა.შ.).

ბ) მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელებულია რიგი აქტივობები:

- 12 თვის განმავლობაში ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე ღია სივრცეში დაირგო ახალი ნერგები (შესყიდული, უსასყიდლოდ გადმოცემული, ბაღში გამოყვანილი), სულ 26 787 ნერგი, მათ შორის: ხე-ბუჩქი 1411 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი 25376 ერთეული;

- შესყიდულ იქნა 182 სახეობის 587 ერთეული ნერგი, მათ შორის 196 ერთეული ვარდი და 23 ლოროპეტალუმი, 320 ლავანდა და 48 იასამანი;

- უსასყიდლოდ გადმოცემულია 25742 ერთეული ნერგი, მათ შორის 656 ხე-ბუჩქი, 25086 ბალახოვან-ყვავილოვანი;

- სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ 14086. მათ შორის 8979 ხე-ბუჩქი და 5107 ბალახოვან-ყვავილოვანი;

- სულ მოეწყო 12 ახალი ყვავილნარი (5 გადაჭრილი ხის მორზე, 7 ღია სივრცეში);

- შეივსო რცხილების ხეივანი 25 ძირი კავკასიური რცხილას ნერგით, მოეწყო კოლხური ბზისა (320 ერთეული) და გარდენიას ხეივანი (42 ერთეული);
- ბოტანიკური ბაღის მიერ, სხვადასხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ გადაეცა სულ: 8007 ერთეული მცენარე. მათ შორის ბუჩქი 109 ძირი, ბალახოვან-ყვავილოვანი 7898 ძირი;
- სარეალიზაციოდ გამოყვანილ იქნა 45 სახეობის 3553-მდე ქოთნის მცენარე;
- მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება ხე-მცენარეებსა და ბუჩქებზე, როგორც მორფოლოგიური ასევე ანატომიური თვალსაზრისით. ასევე ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის გაციფრულება, ამჟამად ეტიკეტირებულია 371 სახეობის 8000-მდე ერთეული ხე-ბუჩქი. მომზადდა 14 დენდროლოგიური აქტი დასკვნებით.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 50.0 ათასი ლარი, რომლის უდიდესი ნაწილი მოხმარდა 370-მდე მსხვილფეხა საქონლის ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის მომსახურების თანადაფინანსებას და სახელმწიფო პროგრამაში - "დანერგე მომავალი" მონაწილე ფერმერების ხელშეწყობას, კერძოდ ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების მომსახურების თანადაფინანსებას.

გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული პროგრამის ფარგლებში გარკვეული მუშაობა ტარდებოდა **მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მოსახლეობის მღრღნელებისა და მოხეტიალე უზუდამხედველო ცხოველებისგან დაცვის** მიზნით, რომელიც მოიცავდა მიუსაფარი ძაღლების გაყვანას, ვაქცინაციას, კასტრაციას და უკან დაბრუნებას თავისუფალ არეალში; გარეული მტაცებელი ცხოველების (მგელი, ტურა) ამოღებას ველური ბუნებიდან; ქვეწარმავლებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ტერიტორიის შეწამვლას. ამ დანიშნულებით 2025 წელს ათვისებულია 28.5 ათასი ლარი.

განათლება

მუნიციპალიტეტში **განათლების დარგით** საბიუჯეტო ასიგნების მოცულობა 2025 წელს განისაზღვრა 20,614.9 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18,578.5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17,452.1 ათასი ლარი, აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი 87.6 პროცენტი თანხით 15279.8 ათასი ლარი მიიმართა განათლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის - „**სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის**“ დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს აკისრია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ფუნქცია, რომლის მიზანია საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45 - სოფლად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღებში კონტიგენტი განისაზღვრება 3553 ბავშვის რაოდენობით. აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, გახსნილია 164 სააღმზრდელო ჯგუფი.

ზემოხსენებული ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, აღსაზრდელების

სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელ - პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ცენტრის მიერ 2025 წელს სუბსიდიის სახით საბიუჯეტო თანხები მიიმართა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:

- **11687,5** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- 3425,7 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
 - ✓ 631,7 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
 - ✓ 1072,6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
 - ✓ 1335,3 ათასი ლარი - ბავშვთა კონტიგენტის კვებით მომსახურებას;
 - ✓ 362,6 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას;
- 98,4 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

13 საბავშვო ბავშვთა განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომლის ქირავნობის საფასური გასული საანგარიშო პერიოდში გადახდილია 253.2 ათასი ლარი.

ყოველწლიურად ტარდება სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნიდან გამომდინარე, გადახდილია ამ დანიშნულებით 2025 წელს გადახდილია 19.1 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს სკოლამდელი დაწესებულებათა მართვის სფეროში ჩატარებულია რიგი ღონისძიებები და აქტივობები:

2025 წლის ბოლოს 63-ვე საბავშვო ბავშვთა ჩატარდა საახალწლო ზეიმები/აქტივობა, თითოეული საბავშვო ბავშვის პერსონალმა პატარა აღსაზრდელების საახალწლო განწყობის ამაღლებაზე იზრუნა. ზეიმების დასასრულს, 3553 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 33.5 ათასი ლარი.

ავტორიზაციის სტატუსის მისანიჭებლად, სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირებულმა 9 (ცხრა) საბავშვო ბავშვთა, კერძოდ კი: №1, №2, №12, №13, №16, №18, ანაკლიის, ჯუმის, შამგონის საბავშვო ბავშვთა გაიარეს ატესტაცია.

2025 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალაშენებული, სტანდარტების შესაბამისი: შამგონის, ქვემო კახათის, ერგეტის და დარჩელის №1 საბავშვო ბავშვთა. მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

აგრეთვე აშენებულია და იგეგმება ეტაპობრივად ექსპლუატაციაში გადაცემა: რუხის, ჭითაწყარის, კახათის „რწმენა“, ნარაზენის №2, რიყის, ცაცხვის, ოქტომბრის და №5 საბავშვო ბავშვთა.

მუნიციპალიტეტის მერიის და ააიპ ზუგდიდის სკოლამდელ სააღმზრდელ დაწესებულებათა მართვის ცენტრის ინიციატივით ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მიერ, განხორციელდა საგრანტო პროექტი ბავშვთა აღჭურვა ტექნიკით, რის შედეგადაც №1, №2, №3, №4, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №16, №18, აგრეთვე ახალკახათის, კოკის, ნარაზენის №1, ზედაეწერის, ჭკადუაშის, ორულუს ბავშვთა პროექტის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა თანამედროვე სამზარეულო ინვენტარით,

რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ბავშვთა ჯანსაღ კვებას, ჰიგიენას და შეიქმნება სტანდარტის შესაბამისი გარემო.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.

ზემოთაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2025 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 1238.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ მოცულობამ შეადგინა 1182.6 (ერთი მილიონ ასოთხმოცდაორი ათას ექვსასი) ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99.43%-ია. 2025 წელს მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) 52,2 ათასი ლარი.

აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია მოხმარდა:

- **994,7** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- 181,1 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
 - ✓ 23,1 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
 - ✓ 19,5 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
 - ✓ 132,9 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას
- 6,7 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

ზემოხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით კოლექტივებსა და ჯგუფებს 2025 წელს მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:

- ანსამბლი გინცის სოლისტებმა, მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას ვეგასის საერთაშორისო „Golden dream 2025“ კონკურს-ფესტივალზე;
- სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ქ. თბილისში საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით, საკლუბო ჩემპიონატში „STAR CUP 2025“;
- თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“ თბილისში გამართულ “OPEN NATIONAL CHEMPIONSHIP OF GEORGIA 2025 “ მიიღეს მონაწილეობა და საქართველოს თასი მოიპოვეს.
- ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ. სოფიაში საერთაშორისო ფესტივალზე „Sunny Olympia“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო და უმაღლესი ჯილდო - გრან პრი მოიპოვა ქ. სოფიაში (ბულგარეთი) გამართულ საერთაშორისო ფესტივალში.
- სასახლის დრამატული სტუდია „შთამომავლები“ ქალაქ თელავში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე „გაზაფხულის დღეები“ მონაწილეობა მიიღო და ფესტივალის

მთავარი პრიზი „გრანპრი“, ასევე ფულადი ჯილდო 1000 ლარი გადაეცა, „შთამომავლებს“ სპექტაკლისათვის „HELLADOS“ ნომინაციაში, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება სპექტაკლმა „პეპის ოინები“ მოიპოვა. სტუდიის ყველა მონაწილე დიპლომით, მედლითა და სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

საგანმანათლებლო შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2025 წელს გათვალისწინებული 91.5 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 91.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა წიგნების და სიგელების ბეჭდვის, საზაფხულო ბანაკის მომსახურების შესყიდვას და მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ჯილდოების გაცემას.

ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით 2025 წელს გათვალისწინებული 410.2 ათასი ლარიდან გახარჯულია 407.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.

სსიპ შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 44.0 (ორმოცდაოთხი ათასი) ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შენობის გარე ფასადის მოწესრიგების სამუშაოებს.

საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებების მიხედვით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამაზე დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3548.1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1867,7 ათასი ლარი, აქედან დელეგირებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად (სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება) 1511.7 ათასი ლარი დაზუსტდა ადგილობრივი ბიუჯეტით. რამდენადაც აღნიშნულ თანხაზე საქართველოს მთავრობის 1098 დადგენილება გამოცემული იყო 2025 წლის 8 სექტემბერს, ცხადია ასეთ მოკლე პერიოდში მისი განკარგვის პროცედურები წლის ბოლომდე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რის გამოც ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 446.9 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა აისახა 2026 წლის ბიუჯეტში განსაკარგავად.

მერიის განათლების პროფილის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულების და 30 ივლისის N302 დადგენილების შესაბამისად ახორციელებს საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას დელეგირებული თანხებით, რომელიც მოიცავს სასკოლო დაწესებულებების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფას. მასში ჩართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზუგდიდის 39 და აფხაზეთის 5 საჯარო სკოლის 4027 (ოთხიათას ოცდაშვიდი) მოსწავლე. 2025 წელს აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად ჯამში გახარჯულია 1420.8 (ერთი მილიონ ოთხასოცი ათას რვაასი) ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2025 წელს ასიგნებული განსაზღვრული იყო 8,578.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 8,050.1 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ მიიმართა 1800.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1831.1 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 1,175.8 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 182.0 ათასი ლარი; სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისთვის - 52.3 ათასი ლარი; კვების ხარჯებისთვის - 70.4 ათასი ლარი; სპორტული ღონისძიებისათვის - 116,8 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ოცამდე საერთაშორისო და 70-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის ჩვიდმეტი სახეობის ტურნირში, როგორცაა: ძალოსნობა, კრივი, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ტაეკვანდო, რაგბი, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, კიკბოქსინგი, კუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ოცდაათამდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის ტურნირი „დებიუტანტი“ ჭადრაკში; სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში; ზუგდიდის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში (U15); საქართველოს პირველობა რაგბიში (დასავლეთ ზონის B ჯგუფი); „კოლხეთის თასი“ ჭიდაობა ძიუდოში; საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში; „საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი“; „სპორტის საერთაშორისო დღე“; ველორბოლა 2025; ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა 2025“; სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო და კერძო სკოლის 124-მა მოსწავლემ.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 120-მდე სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა ცხრამეტმა ზუგდიდელმა სპორტსმენმა, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

- გოგა ჯაჯვანი - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში (პერუ);
- ნათია გადელია - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში, (დურესი, ალბანეთი); - ოქროს მედალი;
- ნიკა ბიგვა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო);
- გივი თოდუა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო);
- ელენე ქარჩავა - ევროპის ჩემპიონი კრივში - ოქროს მედლის მფლობელი;
- ლევან დადეშქელიანი - სპორტულ კარატეში - ოქროს მედლის მფლობელი;
- ნიკა ჭაფანძე - ევროპის ჩემპიონატზე კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში გამარჯვებული;
- გიგა სიჭინავა - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი;

- დიმიტრი ბერაია - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო პროექტი - „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ და ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „მეგრი“ „BETLIVE MASTER LEAGUE“ ჩემპიონატში ჩართვისათვის; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში დაფინანსდა ერთი პროექტი; ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა კომპაკ სპორტინგის ჩემპიონატი; საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო მუსიკალური ჯგუფი „ურსას“ კონცერტი; ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა „ავტო დრაგის“ ჩემპიონატი; მოეწყო ტექნოლოგიური ბანაკი ახალგაზრდებისთვის. სულ პროგრამის ფარგლებში ათვისებულ იქნა 85.7 ათასი ლარი.

„ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.

2025 წელს ზემოაღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 1 920,0 ათასი ლარი, რომელიც პრაქტიკულად სრულად ათვისებულია. აღნიშნული მიმართული იქნა ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ: 1 594,3 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე, 323,9 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე.

ცენტრი-ს საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, სამხატვრო გალერეის, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. ცენტრის საკუთარი შემოსავალი დაიგეგმა 2025 წლისთვის 30.0 ათასი ლარის ოდენობით. შემოსავალმა შეადგინა 22,9 ათასი ლარი.

„ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ პროფილი მრავალფეროვანია და ის მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას. ცენტრის მიერ გასულ წელს ჩატარებულია აღნიშნული მიმართულებების 35-მდე კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე აქტივობა, კონკრეტულად:

- 1 იანვარს - ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი “ოდოია” მონაწილეობდა ტელეკომპანია იმედის ყოველწლიურ საახალწლო გადაცემაში „საშობაო მეჯლისი“;
- 7 მარტს - ბელგიაში ქალაქ გენტში მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეის ექსპოზიციონერის, მხატვარ ელენე ფიფიას მორიგი პერსონალური გამოფენა გაიხსნა;
- 3-14 აპრილს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა მოეწყო;
- 17-24 აპრილს - თურქეთში ქ. მერსინში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“. ღონისძიება ქ. მერსინის მერიის ორგანიზებით განხორციელდა;
- 18 მაისს - მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა კონდრატე თათარიშვილის სახლ-მუზეუმში;
- 22 ივნისს - ქალაქ ფოთში გაიმართა „კოლხურ-ლაზური“ კონკურს-ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“.

ქიურის გადაწყვეტილებით ანსამბლს გადაეცა ცნობილი ხელოვანის ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის სპეციალური პრიზი;

- 25 ივნისს - ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაცურებელს მორიგი პრემიერა უჩვენა. წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“;

- 14 - 15 ივლისს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის, ფოლკლორის V საერთაშორისო ფესტივალი “კოლხი და...” ჩატარდა. ფესტივალი, საქართველოს სახალხო არტისტის, ლოტბარისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენითა და კონცერტით - “ჯემალ ჭკუასელი 90” გაიხსნა. ფესტივალი გალა-კონცერტით დაიხურა, რომელშიც უცხოური და ქართული სახელმწიფო აკადემიური და მუნიციპალური ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ;

- 1-2 სექტემბერს, ზუგდიდში უკვე ტრადიციად ქცეული კლასიკური მუსიკის IV ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება 1 სექტემბერს გაიხსნა, ხოლო 2 სექტემბერს - ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში დასკვნითი კონცერტით დაიხურა;

- 14 სექტემბერს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში გამართულ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭების ცერემონიაზე, სპეციალური კონცერტი გამართა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“.

- 1 - ოქტომბერს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის იონა მეუნარგიას სახლ- მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ და ფოლკლორული ანსამბლი ოდოია წარსდგა მაცურებლის წინაშე;

- 28 ოქტომბერს - სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო შემოდგომის მოტივებზე შესრულებული ნახატები;

- 12 დეკემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ამავე ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი გაიმართა;

- 17 დეკემბერს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ჩხორიის სამოყვარულო თეატრში ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“- პრემიერა გაიმართა;

- 29 დეკემბერს - მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების საახალწლო - საშობაო გამოფენა მოეწყო;

- 29 -დეკემბერს სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ხელოვნების ფესტივალი - „სახალწლო მეჯლისი,“ სადაც მონაწილეობდა ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა.“

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, 2025 წელს ათვისებულია 23.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა: საერთაშორისო კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი - „ანაკლია 2025“-ის ჩატარებაზე და „ნორჩი მკვლევარი 2025“-„ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ კონკურსის ფარგლებში, ფინალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოებისათვის სასაჩუქრე წიგნების შესყიდვაზე.

ა(ა)იზ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სუბსიდირებაზე 2025 წელს გამოიყო 1,182.5 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა - 1,111.0 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, 71.5 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანული ცენტრალური, 3 საქალაქო და 30 სასოფლო ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში მოემსახურა სულ 6961 მკითხველს, ჩატარებულ აქტივობებს დაესწრო 611721 დაინტერესებული პირი, დაფიქსირდა წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემის 101330 ფაქტი.

განვლილ საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი შეივსო 1430-მდე წიგნით; შესყიდულ იქნა 818 ცალი, საჩუქრად მიღებულ იქნა 519, ხოლო ვაუჩერით შეძენილ იქნა - 91 ცალი წიგნი.

2025 წლის ბოლოს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის წიგნადმა ფონდმა შეადგინა -187399 წიგნი, რომლის ჯამური ღირებულებაა - 472.0 ათასი ლარი.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას. გასულ წელს ჩატარებულია სულ 100-ზე მეტი ღონისძიება და აქტივობა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- პროექტის „ელაპარაკე ახალგაზრდებს“ ფარგლებში საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტისა და ლოტბარის სერგო ურუშაძის მიერ ჩატარებული მასტერკლასი მეგრულ ფოლკლორზე. მასტერკლასში მონაწილეობა მიიღეს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა;

- ქ. ზუგდიდს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპა ნოსტრას ექსპერტთა მისია, ჭაქვინჯის ციხის დეტალური შესწავლის, მისი გადარჩენისთვის შესაბამისი საექსპერტო დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში. გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტივები და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები;

- ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა ლიტერატურულ - საგანმანათლებლო პროექტი - ამბები „ვეფხისტყაოსანზე.“ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტივობები: დიანა ანფიმიადის წიგნის - „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ პრეზენტაცია; საუბარი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, პირველ რუსთველოლოგზე, ბრიტანელ ქართველებსა და „ვეფხისტყაოსანზე“. გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემების გამოფენა;

- ჩატარდა ბერტა ფონ ზუტნერის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებლის, გერმანიის ბესიკ გეგეჰკორის საჯარო ლექცია - "ბერტა ფონ ზუტნერის მოღვაწეობა სამეგრელოში". საჯარო ლექცია მიემდგვნა ავსტრიელი მწერლის, პაციფიზმის საერთაშორისო მოძრაობის აქტივისტის ბერტა ფონ ზუტნერისათვის ნობელის პრემიის გადაცემიდან 120 წლისთავს;

- ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალში გაიმართა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის ნომრების კომპლექტის წარდგენა. გაზეთის კომპლექტი გამოიცა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტ „გიგანტური წიგნების“ ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნოდარ დუგლაძე. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი, გაზეთ „ივერიის“

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული, გამოცემის წარდგენა სიმბოლოურად გაიმართა რეაბილიტირებულ ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალში. იქ, სადაც 140 წლის წინ დიდი ილია სტუმრობდა იონა მეუნარგიას;

- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ცენტრალური ბიბლიოთეკისა და წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ორგანიზებით ჩატარდა გრანდიოზული ახალგაზრდული საღამო. საღამოზე წიგნისმოყვარული ახალგაზრდების მიერ მოეწყო სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ: მთარგმნელისა და ცნობილი მოჭადრაკის, ფიდეს ოსტატის, მადონა ბოკუჩავას საჯარო ლექცია - საუბრები თანამედროვე იტალიელ მწერლებსა და პოეტებზე. ორატორმა ახალგაზრდებს გააცნო ორიანა ფალაჩის, ელენა ფერანტესა და ალდა მერინის შემოქმედება;

- ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ ნიდერლანდებში მცხოვრები ქალბატონი თიკა სვანიძე - ვენკო და ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის ბაზაზე შექმნილი სამოყვარულო თეატრალური დასების მსახიობები, ქართული საერთაშორისო კალიგრაფიის სკოლის მოსწავლეები;

- 2025 წლის 30-31 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ უკვე მეორედ უმასპინძლა საავტორო პროექტს „ლაზური წიგნიერების დღეები“. პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ეწვივნენ თურქეთში მოქმედი ლაზური ინსტიტუტის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მუსიკას;

- 26 მაისს ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი - „თარგმნე ქართველი ავტორები“. პროექტის ფარგლებში მოსწავლე - ახალგაზრდებმა ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს 1918-1921 წლების ქართული ლიტერატურის რჩეული ნიმუშები გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიცინ ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებიდან. თარგმანების ავტორები დასაჩუქრდნენ წიგნებით;

„ამერიკულ კუთხეში“ აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა თემატური შეხვედრები, ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბები: ინგლისურის კლუბი სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის; მოზრდილთა უფასო ინგლისურის გაკვეთილები; ინგლისურის კლუბი მოზრდილთათვის; არტთერაპიის კლუბი; რობოტიკის კლუბი.

აღსანიშნავია, რომ **ბიბლიოთეკარის** დღესთან დაკავშირებით გასული წლის 30 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ოთხი მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორი დააჯილდოვა, მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დირექტორი ბესიკ არახამია, რომელსაც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალიონი და სიგელი გადაეცა.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის შესაბამისი სამსახური, გასულ წელს პროგნოზირებული იყო 407.1 ათასი ლარი, გახარჯულია 388.5 ათასი ლარი, რომელიც მიიძღრთა საახალწლო და საშობაო ღონისძიების, ზუგდიდის საპატოო მოქალაქისა და საპატოო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, ასევე სხვადასხვა სახის 10 აქტივობის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

ტელერადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად მიიმართა 37,7 ათასი ლარი.

რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის დანიშნულებით 2025 წელს გახარჯულია 135.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვას და ეზოს კეთილმოწყობას.

სახელოვნებო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს გასულ წელს ათვისებული აქვს 1277.5 (ერთი მილიონ ორასსამოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 1077.3 ათასი ლარი - ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, 176,1 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 92.2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

2025 წელს, როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 40-მდე აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსამბლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და კონკურს ფესტივალებზე მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს, კერძოდ:

- 2025 წლის 20 მარტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის მე-8 ეროვნული კონკურსი, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.
- 2025 წლის 20-29 მარტს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავალი ვარსკვლავები“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2025 წლის 17-23 მარტს ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა მე-17 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკლავი“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2025 წლის 3 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა კარლ ჩერნის სახელობის მე-3 კონკურსი, რომელშიც პირველი ადგილი დაიმსახურა საგუნდო - სამუსიკო სკოლის აღსაზრდელმა დარე ცინდელიანმა.
- 2025 წლის 11-17 ივნისს, საბერძნეთში ასპროვალტა-ვრასნაში გაიმართა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ოქროს ოცნება“, რომელშიც ანსამბლი „ლილე“ გახდა პირველი ადგილის მფლობელი და მიწვეულ იქნა ლას ვეგასში.

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს გახარჯულია 20.0 (ოცი ათასი) ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მე-19 საუკუნის 4 მართმადიდებლური ხატის სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვაზე..

საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს გახარჯულია 80.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საცხენოსნო სპორტული ღონისძიების ორგანიზების და ცხენების საკვებით უზრუნველყოფაზე.

„ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (კოდი 05 04) დასაფინანსებლად 2025 წელს გამოიყო 790.9 ათასი ლარი და გაიხარჯა 789.3 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბმა „ოდიში 1919“**, რომელმაც 2025 წელს გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საფეხბურთო სკოლების კატეგორიზაციის პროცესი, რომლის შედეგად მიენიჭა II კატეგორია, მიიღო საფეხბურთო სკოლის სტატუსი და პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 200.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხის მიზნობრივი ხარჯვა გათვალისწინებულია 2026 წელს საფეხბურთო სკოლის საჭიროებისთვის სპორტული ინვენტარის შესაძენად.

2025 წელს ა(ა)იპ **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის** საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, წლის დასაწყისიდან ჩართული იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში და აღწევდნენ მაღალ სპორტულ შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ **საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ს**, ძირითადი გუნდისა და რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე გუნდის გარდა, ჰყავდა 7 ასაკობრივი კატეგორიის გუნდი, კერძოდ:

- **U10, U11, U12, U13 და U14** ასაკობრივი გუნდები მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრებებში და საერთო ჯამში ჩაატარეს 136 საშინაო და გასვლითი მატჩი;
- **U15 და U17** ასაკობრივი გუნდები კი მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში და საერთო ჯამში ჩაატარეს 53 საშინაო და გასვლითი მატჩი.

2025 წელს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის U14 ასაკობრივმა გუნდმა წარმატებით გაიარა შერჩევითი ეტაპი სამეგრელოს რეგიონალური ნაკრებისათვის. აღნიშნულ პროცესში, კლუბის **9 ფეხბურთელი** ოფიციალურად გახდა რეგიონალური ნაკრების წევრი.

სსიპ „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს თეატრის პოპულარიზაციის, საგასტროლო და ახალი სპექტაკლების დადგმასთან დაკავშირებული ღონისძიებებზე გამოიყო 30.0 ათასი ლარი, რითაც განხორციელდა 2 სპექტაკლის დადგმა (მერი შელის “ფრანკენშტაინი” და ალექს ჩილდინაძის “მარინა რევია”). სპექტაკლები ნაჩვენები იყო 11-ჯერ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, რომელიც მუნიციპალიტეტის 2500 მდე მაყურებელმა ნახა. “ფრანკენშტაინის ჩვენება გატანილ იყო თბილისში და ყაზახეთში საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვლილ 2025 წელს პროგნოზირებული იყო 5561,9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5326,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიღარა:

მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, 2025 წელს მიმართულია 583,5 ათასი ლარი, მათ შორის დელეგირებული თანხები 317.6 ათასი ლარი.

შესაბამისი პროგრამით 2025 წელს უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით გატარებულია რიგი პრევენციული ღონისძიებები და ჩატარებულია კვლევები:

- სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 5276 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საექვო 1061 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 20-ს, მგბ(-) 24-ს, ტუბერკულოზის ინფექციის კერებში 134 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

- დარეგისტრირდა ცხოველთან ექსპოზიციის 2826 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 39 პირი, სხვა რაიონში მცხოვრები 493 პირი. ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 807 პირს, პირობითი 1909 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების შედეგად 212-მა პირმა.

- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტის, აივ-ინფექციას, სიფილისსა და ც ჰეპატიტზე, სულ გასული წლის განმავლობაში გამოკვლეულია 621 ორსული, ტესტირებით დადებითი შედეგის მქონე 11 ორსულის ლაბორატორიული მასალა გაგზავნილი იყო კონფორმაციული კვლევისათვის, აქედან „ბ“ ჰეპატიტი დაუდასტურდა 3-ს, აივ-2, სიფილისი-1, ც ჰეპატიტი -5 ს.

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01- 60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 84 მონიტორინგი ამბულატორიებში წინასწარ შემუშავებული გეგმა - გრაფიკის მიხედვით.

- 2025 წელს გრიპის სეზონისთვის საქართველოს მასშტაბით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა, ოთხკომპონენტის, SANOFI PASTEUR-ის წარმოების ვაქცინით (Vaxigrip Tetra) რისკ ჯგუფების მიხედვით 3762 აცრა.

- 2025 წელს ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 11 179 აცრა.მ.შ გეგმიური 10 279 : ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 633 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 640 -ს, იმუნიზაცია ჰეპსაქციმით (6 ვალენტისანი ვაქცინა) ჩატარდა 1513 აცრა, ტეტრაქსიმით(18 თვ;5 წლის ასაკში)1607 , წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1510 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 828, პნევმოკოკით 1468, აპვ ვაქცინით-1277, ტდ ვაქცინით-803 აცრა და არაგეგმიური 900 აცრა(აპვ

გოგონები 13-45 წ-210 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ- 177 აცრა, პნევმოკოკი 60 წლ >24 აცრა), ბ -ჰეპატიტი 482(სამედიცინო პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, წწ 10 წლის > 7).

- 2025 წელს გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების მონიტორინგის ფარგლებში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 14 122, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 2058. ამბულატორიული მომსახურეობა გაეწია 64 179 პაციენტს, გრიპისმაგვარი დაავადება გამოვლენილი იყო 4 896 შემთხვევაში.

- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2025 წელს მიღებულ იქნა 690 787,72 ლარის და გაცემული იქნა 682 667,25 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.

- 2025 წელს ჩატარებული იქნა მონიტორინგი 136 სახელმწიფო საბავშვო ბაღში, კერძო - 22. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევები შესახებ ეცნობა ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად. 45 საჯარო სკოლაში ჩატარდა მონიტორინგი.

- თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, ცენტრის მიერ განხორციელდა 230 მოწვევის აკრძალვის მონიტორინგი.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 48 კაბინეტში, გამოვლინდა, რომ სასტერილიზაციო ოთახის მოწყობას საჭიროებს 6 კაბინეტი, ინსტრუმენტების სარეცხისადეზინფექციო საშუალებების სრულყოფილი ნაკრები არ გააჩნდათ 6 კაბინეტს, ნორმატივებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას სრულყოფილად აწარმოებს 30 ხოლო არ აწარმოებს 18 კაბინეტი, ნარჩენების გატანის წესის დარღვევა გამოვლინდა 8 კაბინეტში. თითოეულ წესის დამრღვევ სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელს მიეთითათ დარღვევებზე დროულად მოახდინონ რეაგირება და გონივრულ ვადაში მოახდინონ ხარვეზების აღმოფხვრა.

- პირველად ჯანდაცვაში C- ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ სკრინინგი ჩატარდა 1567 ბენეფიციარს , მათ შორის გამოვლინდა პირველად დიაგნოსტირებული C-ჰეპატიტის დადებითი -4, აივ-შიდსის 1 შემთხვევა.

- ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ბაღების 2085 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 110 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკველეულთა 5%-ს.

- ცენტრმა განხორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩატარდა 192 ბიზნეს ოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 148 შემთხვევაში, არასრულად 44-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით გასულ წელს სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაზე, მიიმართა სულ 3,311.2 ათასი ლარი, რითაც სოციალური სერვისი და დახმარება მიიღო 7259-მა ადამიანმა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვა - საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 48 სხდომა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტრომ შუამდგომლობა გაეწია 479 მოქალაქეს. 5090 (ქალი-3494, კაცი-1596) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1863,9 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 1865.3 ათას ლარს. ქვეპროგრამების მიხედვით ასიგნებები მიიღარა:

- **317,1 ათასი ლარი** - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 1301-მა მოქალაქემ;
- **73,9 ათასი ლარი**-კორონაროგრაფიის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 82-მა მოქალაქემ;
- **35,8 ათასი ლარი** - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 40-მა მოქალაქემ;
- **171,5 ათასი ლარი** - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 269 მოქალაქემ;
- **196,4 ათასი ლარი** - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 990-მა მოქალაქემ;
- **676,0 ათასი ლარი** - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 150 ბავშვი;
- **155,9 ათასი ლარი** - სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 387-მა ბავშვმა;
- **5,9 ათასი ლარი** - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 12-მა მოქალაქემ;
- **16,8 ათასი ლარი** - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია/ ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე. სარგებლობს 4 მოქალაქე;
- **4,2 ათასი ლარი** - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი). ისარგებლა 21-მა მოქალაქემ;
- **35,9 ათასი ლარი** - ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 26 მოქალაქე;
- **4,2 ათასი ლარი**- 0-18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისათვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე ისარგებლა 7 ბავშვმა;
- **79,7 ათასი ლარი**- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 1372-მა მოქალაქემ;
- **85,6 ათასი ლარი** - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე ისარგებლა 428-მა მოქალაქემ;
- ამასთან, ერთი მოქალაქის სტაციონარული მომსახურების თანხა **5,0 ათასი ლარი** გაიხარჯა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც დაზუსტდა ჯანმრთელობის დაცვის (060103) პროგრამაში.

სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში, 5004 (ქალი-3386, კაცი-1618) მოქალაქის სოციალურ დახმარებასა და სერვისებზე მიიმართა 2 801,6 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი კი შეადგენდა 3008,6 ათას ლარს. დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

334,5 ათასი ლარი-სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 725-მა ბენეფიციარმა. თანხა მიიმართა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთჯერადი უფასო კვების დასაფინანსებლად;

43,4 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.

58,3 ათასი ლარი - ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 196-მა ბენეფიციარმა.

268,0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 944-მა მოქალაქემ.

საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა - „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“-ს ფარგლებში, განხორციელდა 1715 გასვლა სხვადასხვა მიმართულებით, სერვისით ისარგებლა 255-მა მოქალაქემ;

84,8 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 300-მა მოქალაქემ.

18,7 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 44-მა ბენეფიციარმა.

88,5 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, თანხა გახარჯულია

- **87,5 ათასი ლარი** - აღდგომისა და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების, უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისა და უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეების სასაჩუქრე პაკეტისათვის (550 მოსარგებლე);

- **1.0 ათასი ლარი** - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების კვებით მომსახურება (ფურშეტი);

152,2 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 155-მა მოქალაქემ. კერძოდ :

- **137,2 ათასი ლარი** - ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 81 ბენეფიციარის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 100-150 ლარის ოდენობით);

- **14,0 ათასი ლარი** - სოციალურად დაუცველი 50 სტუდენტის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);

- **1,0 ათასი ლარი** - სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა - „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამაში ჩართული 4 შშმ ბავშვის თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის;

488,4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე. ისარგებლა 212-მა მოქალაქემ, თანხა მიიმართა:

- **319,4 ათასი ლარი** - 143 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- **141,5 ათასი ლარი** - ხანძრის შედეგად დაზარალებული 32 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 5 000 ლარის ფარგლებში);
- **8,2 ათასი ლარი** - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 11 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 3 000 ლარის ფარგლებში);
- **19,3 ათასი ლარი** - მეწყრის შედეგად დაზარალებული 26 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (500 ლარი თითოეულს);

43,3 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 433-მა ბენეფიციარმა, (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);

377,7 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე. ისარგებლა 1398-მა მოქალაქემ. კერძოდ, აღნიშნული თანხა მიიმართა:

- **39,7 ათასი ლარი** - 406 სოციალურად დაუცველი ოჯახის კომუნალური გადასახადებისთვის, (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში);
- **270,0 ათასი ლარი** - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 822 ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის (თითოეულს 100- 500 ლარის ფარგლებში);
- **68,0 ათასი ლარი** - სოციალურად დაუცველი 170 ოჯახის გაზიფიცირებისთვის.

9,8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა - დაფინანსდა 2 პროექტი.

31,2 ათასი ლარი - პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ – ისარგებლა 29 ბენეფიციარმა;

802,8 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა. 2024-2025 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად პროგრამის ფარგლებში დასრულდა 9 საცხოვრებელი სახლის სამშენებლო და 10 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2025 წლის მონაცემებით 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერასა და სერვისებზე საკასო შესრულებამ ჯამში შეადგინა **77,2 ათასი ლარი**. დაფინანსება/მომსახურება ქვეპროგრამების მიხედვით მიიღო **189 (101 გოგონა, 88 ვაჟი)** მოსარგებლემ, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **48,7 ათასი ლარი** - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 89-მა ბენეფიციარმა;
- **2,5 ათასი ლარი** - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღსანიშნავად; 1 ივნისის გასართობ ღონისძიებაში მონაწილეობდა 60 ბავშვი;
- **13,0 ათასი ლარი** - ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე. ისარგებლა 30-მა ბავშვმა;
- **13,0 ათასი ლარი** - საცურაო აუზის მომსახურებაზე (აქვათერაპია). ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გამლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 95 ვიზიტი, რომლის შედეგადაც ბავშვიანი ოჯახები ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე, განხორციელდა რამდენიმე მათგანის გადამისამართება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

2025 წლის განმავლობაში (გაზაფხული-შემოდგომა) მშობლებისთვის ჩატარდა ტრენინგების 2 ციკლი თემაზე: „პოზიტიური მშობლობა“. ტრენინგები მოიცავს 6 სესიისგან შემდგარ საგანმანათლებლო მოდულს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 13-მა მშობელმა (I ციკლი-7 მშობელი, II ციკლი-6 მშობელი). ტრენინგი მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგები ჩატარდება მომავალშიც, წელიწადში ორჯერ.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულებამ (ბიუჯეტის კოდი 01 00) 2025 წელს შეადგინა 16764,2 ათასი ლარი, რაც უტოლდება გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

• **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის** მიიმართა 12325,6 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ საკრებულოს საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფაზე 2115,3 ათასი ლარი;
- ✓ მერის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 10210,3 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მიზნობრივი დანიშნულებით მერის ბრძანებით გამოიყო - 32,0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ათვისებულია.

რფგ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე 2025 წელს მიიმართა 781.8 ათასი ლარი;

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის N193 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს აღებული ქონდა სასესხო ვალდებულება ავტოპარკის განახლებისათვის 3500.0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის სარგებლობის პროცენტი იყო 2379.7 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულება მთლიანობაში შეადგენს 5879.7 ათას ლარს, მ/წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილია 3195.5 ათასი ლარი, ბოლო ვადამდე 2029 წლამდე დარჩენილია 2683.2 ათასი ლარი. მათ შორის 2026 წელს გადასახდელი თანხა **578.5** ათასი ლარი .

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N2564 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2293.8 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით ავტობუსების შესაძენად სესხის აღების თაობაზე, რომლის მთლიანმა ღირებულებამ, პროცენტის ჩათვლით შეადგინა 14014.5 ათასი ლარი. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილია 7634.5 ათასი ლარი, დარჩენილია 6380.0 ათასი ლარი, მათ შორის 2026 წელს გადასახდელია 1804.3 ათასი ლარი.

3. (გარდა სასესხო ვალდებულებებისა, მთავრობის 2023 წლის N1085 განკარგულების და 2024 წლის N43 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2 ავტობუსის შესაძენად მუნიციპალიტეტს გამოეყო 987.0 ათასი ლარი).

4. 2018 წლიდან 5 ნაგავმზიდისა და 454 კონტეინერის შექმნაზე აგრეთვე აღებული იყო სასესხო ვალდებულება მომსახურების პროცენტის ჩათვლით 1690.7 ათასი ლარი; 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილია ვალდებულების დასაფარი თანხა მხოლოდ **82.3** ათასი ლარი.

5. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციისათვის სასესხო ვალდებულება აღებულ იყო 8870.4 ათას ლარზე პროცენტის ჩათვლით. 2026 წლის 1 იანვრამდე აღნიშნული ვალდებულებიდან გადახდილია 6601.3 ათასი ლარი, რჩება გადასახდელი 2269.1 ათასი ლარი, მათ შორის 2026 წელს **1008.5** ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის გადასახდელების შესრულება სინთეზური სახით, ცალკეული მუხლების მიხედვით იძლევა შემდეგ ფინანსურ სურათს, კერძოდ გადასახდელების საერთო თანხიდან (104972,1 ათასი ლარი) ხარჯები შეადგენს - 69651,6 ათას ლარს, აქედან:

- შრომის ანაზღაურება - 9848,5 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 6903,2 ათასი ლარი;
- პროცენტი - 1020,7 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 45564,8 ათასი ლარი;
- გრანტები - 96,9 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3672,2 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 2545,3 ათასი ლარი.

2025 წელს არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა - 32781,7 ათასი ლარი; ფინანსური ვალდებულებების კლება შეადგენს - 2538,8 ათას ლარს.

მონაცემები მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ

I თავი.
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2025 წლის გეგმა			2025 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	103,631.5	31,583.3	72,048.2	102,547.9	30,545.5	72,002.4
გადასახადები	59,881.8	0.0	59,881.8	59,987.6	0.0	59,987.6
გრანტები	37,352.3	31,583.3	5,769.0	36,314.5	30,545.5	5,769.0
სხვა შემოსავლები	6,397.4	0.0	6,397.4	6,245.8	0.0	6,245.8
II. ხარჯები	71,416.9	3,279.1	68,137.8	69,651.6	2,293.9	67,357.7
შრომის ანაზღაურება	9,897.3	0.0	9,897.3	9,848.5	0.0	9,848.5
საქონელი და მომსახურება	7,577.3	2,257.8	5,319.5	6,903.2	1,833.0	5,070.2
პროცენტი	1,020.7	0.0	1,020.7	1,020.7	0.0	1,020.7
სუბსიდიები	45,720.6	0.0	45,720.6	45,564.8	0.0	45,564.8
გრანტები	97.1	0.0	97.1	96.9	0.0	96.9
სოციალური უზრუნველყოფა	3,729.1	0.0	3,729.1	3,672.2	0.0	3,672.2
სხვა ხარჯები	3,374.8	1,021.3	2,353.5	2,545.3	460.9	2,084.4
III. საოპერაციო საღდო	32,214.6	28,304.2	3,910.4	32,896.3	28,251.6	4,644.7
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	35,042.9	30,210.6	4,832.3	30,260.3	26,758.7	3,501.6
ზრდა	38,842.9	30,210.6	8,632.3	32,781.7	26,758.7	6,023.0
კლება	3,800.0	0.0	3,800.0	2,521.4	0.0	2,521.4
V. მთლიანი საღდო	-2,828.3	-1,906.4	-921.9	2,636.0	1,492.9	1,143.1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-5,367.1	-1,906.4	-3,460.7	97.2	1,492.9	-1,395.7
ზრდა	0.0	0.0	0.0	1,492.9	1,492.9	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			1,492.9	1,492.9	

კლება	5,367.1	1,906.4	3,460.7	1,395.7	0.0	1,395.7
ვალუტა და დეპოზიტები	5,367.1	1,906.4	3,460.7	1,395.7		1,395.7
VII. ვალდებულებების ცვლილება	-2,538.8	0.0	-2,538.8	-2,538.8	0.0	-2,538.8
კლება	2,538.8	0.0	2,538.8	2,538.8	0.0	2,538.8
საშინაო	2,538.8	0.0	2,538.8	2,538.8	0.0	2,538.8
სესხები	-			199.1	199.1	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	199.1	199.1		-		
VIII. ბალანსი	0.0	0.0	-	- 0.0	0.0	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ათას ლარებში

დასახელება	2025 წლის გეგმა			2025 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	107,431.5	31,583.3	75,848.2	105,069.3	30,545.5	74,523.8	97.80	96.71	98.25
შემოსავლები	103,631.5	31,583.3	72,048.2	102,547.9	30,545.5	72,002.4	98.95	96.71	99.94
არაფინანსური აქტივების კლება	3,800.0	0.0	3,800.0	2,521.4	0.0	2,521.4	66.35		66.35
გადასახდელები	112,798.6	33,489.7	79,308.9	104,972.1	29,052.6	75,919.5	93.1	86.8	95.7
ხარჯები	71,416.9	3,279.1	68,137.8	69,651.6	2,293.9	67,357.7	97.5	70.0	98.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	38,842.9	30,210.6	8,632.3	32,781.7	26,758.7	6,023.0	84.4	88.6	69.8
ვალდებულებების კლება	2,538.8	0.0	2,538.8	2,538.8	0.0	2,538.8	100.0		100.0

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	49181,8	49165,1	99,97
ქონების გადასახადი	10,700.0	10,822.5	108.95
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	8,220.0	8,272.5	110.37

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	130,0	248,4	191,08
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	750,0	788,6	105,15
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1500,0	1433,3	95,55
გადასახადები სულ	59881,8	59987,6	100,18

ბ) გრანტები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	36,5	36,5	100,00
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	2457,2	2199,9	89,53
სპეციალური ტრანსფერი	3800,0	3800,0	100,0
კაპიტალური	20000,8	19815,6	99,07
სპეციალური ტრანსფერი	9340,0	8744,7	96,63
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1717,8	1717,8	100
სულ გრანტები	37352,3	36314,5	97,22

ათას ლარებში

N	თანხა	გრანტის გამომყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფის თარიღი
1	16,254.4	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	კაპიტალური პროექტებისათვის თანხის გამოყოფა.	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის N1955 განკარგულება	31.12.2024 (ბოლო ცვლილება 19.12.2025 N2168 განკ.)
2	948,0	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გამოყოფის თაობაზე.	16.01.2025 წლის N53 მთავრობის განკარგულება	16.01.2025წ.
3	206.1	ცენტრალური	კაპიტალური ტრანსფერი	ავტობუსების შესამენად თანხის გამოყოფა.	24.01.2025 N138 განკარგულება	24.01.2025წ.

		ხელისუფლებები				
4	902,8	ცენტრალური ხელისუფლებები	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.	24.01.2025წ. N146 განკარგულება	24.01.2025წ.
5	713,0	ცენტრალური ხელისუფლებები	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.	30.07.2025 N302 დადგენილება	30.07.2025
6	9,340.0	ცენტრალური ხელისუფლებები	კაპიტალური ტრანსფერი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.	30.01.2025 N186 განკარგულება; 21.11.2025 1941 განკარგულება ბოლო ცვლილება.	30.01.2025 21.11.2025
7	1,940.0	ცენტრალური ხელისუფლებები	კაპიტალური ტრანსფერი	გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ	01.04.2025წ N581 განკარგულება	01.04.2025წ.
8	1511,7	ცენტრალური ხელისუფლებები	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება	09.07.2025წ. N1098 განკარგულება	09.07.2025წ. (ადგილობრივი ბიუჯეტშია დაგეგმილი)
9	420,5	ცენტრალური ხელისუფლებები	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის სისტემის განვითარება	30.09.2025წ. N1604 განკარგულება	30.09.2025წ.
10	764.3	ცენტრალური ხელისუფლებები	კაპიტალური ტრანსფერი	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	30.07.2025წ N1207 განკარგულება	30.07.2025წ

1 1	94,1	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის და მართვუთხა მილის მოწყობის სამუშაოები, ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯანაშიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ფიტნეს სავარჯიშო სივრცის მოწყობის სამუშაოები.	05.12.2025 N2032 განკარგულება	05.12.2025წ.
1 2	420,8		მიზნობრივი ტრანსფერი		ჯანდაცვა (15.01.2025 NCDC6250025541 სსიპ ლ საყვარელიძის სახელობის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილი, საქართველოს მთავრობის N382განკარგულებით (28.02.2025)).	15.01.2025
1 3	36.5	ორგანიზაცია	საერთაშორისო გრანტი	ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა „მწვანე ქალაქები, მწვანე ქალაქებთან ერთად“	წერილის ნომერი:08-2425310134 თარიღი: 06/11/2025	06/11/2025

გ) სხვა შემოსავლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
სხვა შემოსავლები	6,397.4	6,245.8	97.63
შემოსავლები საკუთრებიდან	840.0	796.8	94.86
პროცენტები	280.0	218.6	78.07
რენტა	560.0	578.2	103.25
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	250.0	236.7	94.68

შემოსავალი მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	310.0	341.5	110.16
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,450.0	1,364.3	94.09
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,260.0	1,223.6	97.11
სანებართვო მოსაკრებელი	250.0	211.6	84.64
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	210.0	210.0	100.00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	800.0	802.0	100.25
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	190.0	140.7	74.05
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	190.0	140.7	74.05
შემოსავალი შენობების და ნაგებობების ოჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	190.0	140.7	74.05
ჯარიმები, სანქციები და საურავები	3,568.2	3,648.6	102.25
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	3000.0	3212.2	107.07
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	238.0	58.9	24.75
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	330.2	377.5	114.32
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	539.2	436.1	80.88
შემოსავალი ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო	300.0	391.4	130.47
სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	239.2	44.6	18.65

დ) არაფინანსური აქტივების კლება

ათას ლარებში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	3800.0	2521.4	66.35
ძირითადი აქტივები	1,500.0	1544.0	102.93
შენობა ნაგებობები	1,490.0	1544.0	103.62
არასაცხოვრებელი შენობები	1,490.0	1544.0	103.62
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	10.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	2300.0	977.4	42.50
მიწა	2300.0	977.4	42.50

მიწის გაყიდვიდან თანხის შეუსრულებლობა გამოწვეულია არ შემგარი აუქციონით.

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

ათას ლარებში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
ხარჯები	71,416.9	69,651.6	97.5
შრომის ანაზღაურება	9,897.3	9,848.5	99.5
საქონელი და მომსახურება	7,577.3	6,903.2	91.1
პროცენტი	1,020.7	1,020.7	100.0
სუბსიდიები	45,720.6	45,564.8	99.7
გრანტები	97.1	96.9	99.8
სოციალური უზრუნველყოფა	3,729.1	3,672.2	98.5
სხვა ხარჯები	3,374.8	2,545.3	75.4

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

ათას ლარებში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
არაფინანსური აქტივების ზრდა	38842.9	32781.7	84.4
ძირითადი აქტივები	38842.9	32781.7	84.4

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	512.2	512.1	100.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20534.2	31406.6	88.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	38.4	0.0	0.0
04 00	განათლება	1898.9	551.3	29.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	751.9	308.0	41.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3.7	3.7	100.0

1. განათლების სფეროში საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამისათვის დელეგირებული თანხებით საჯარო სკოლებში ეტაპობრივად მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის N1604 განკარგულებით და 302 დადგენილებით გამოყოფილი იყო 1511,7 ათასი ლარი, რომელიც წლის ბოლომდე ვერ იქნა ათვისებული და ნაშთის სახით გადმოვიდა 2026 წლის ბიუჯეტში.
2. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პროგრამაში მინი სპორტული მოედნების მშენებლობისათვის წლის ბოლოს დაიდო ხელშეკრულება და სამუშაოები გადმოვიდა 2026 წლისთვის, შესაბამისად ამ პროექტებისათვის გამოყოფილი ასიგნება არ იყო ათვისებული.

ზ) ვალდებულებები

ათას ლარებში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
ვალდებულებების კლება	2538.8	2538.8	100.0
საშინაო	2538.8	2538.8	100.0

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2024 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და 454 ნაგვის კონტეინერი, ავტობუსების შეძენა, ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2025 წლის 1 იანვრისათვის დავალიანება შეადგენდა 2538, ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ფაქტიური ცვლილება განისაზღვრა 97.2 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 1492,9 ათასი ლარი

ფინანსური აქტივების ზრდა	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტიური შესრულება
		0,0
ვალუტა დეპოზიტები	0,0	1492,9

*ვალუტა და დეპოზიტებში 1492,9 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთის დაგროვებას.

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 1395,7 ათასი ლარი

ფინანსური აქტივების კლება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება
		5367,1
ვალუტა და დეპოზიტები	5367,1	1395,7

ფინანსური აქტივების კლება ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი ბიუჯეტის პროგნოზირებული შემოსავლების შესუსტებლობით.

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები

2025 წლის 01 იანვრისათვის ბიუჯეტის მთლიანმა ნაშთმა შეადგინა 5,368.3 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ნაშთი 1907.6 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი - 3460.7 ათასი ლარი.

კ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათას ლარებში


ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13,586.2	13,407.1	98.68
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	12,494.8	12,325.6	98.64
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	12,494.8	12,325.6	98.64
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	9.0	0.0	0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	9.0	0.0	0

7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1,023.0	1,022.6	99.96
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	59.4	58.9	99.15
702	თავდაცვა	0.0	0.0	0,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	818.6	818.3	99.96
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	818.6	818.3	99.96
704	ეკონომიკური საქმიანობა	48,723.3	43,798.2	89.89
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,461.3	1,213.8	83.06
70421	სოფლის მეურნეობა	1,461.3	1,213.8	83.06
7045	ტრანსპორტი	25,697.7	23,994.3	93.37
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	20,325.0	18,621.6	91.61
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	5,372.7	5,372.7	100,00
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	353.7	200.8	56.77
70473	ტურიზმი	353.7	200.8	56.77
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	21,210.6	18,389.3	86.69
705	გარემოს დაცვა	10,665.2	10,570.1	99.10
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	8,253.8	8,197.1	99.31
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2,411.4	2,373.0	98.40
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,711.2	1,590.4	92.94
7061	ბინათმშენებლობა	240.0	186.3	77.62
7063	წყალმომარაგება	0.0	0.0	0,0
7064	გარე განათება	1,360.0	1,359.1	99.93
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	111.2	45.0	40.46
707	ჯანმრთელობის დაცვა	2,472.1	2,447.4	99.00
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	606.8	583.5	96.16
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,865.3	1,863.9	99.92

708	დასვენება, კულტურა და რელიგია	8,578.5	8,050.1	93.84
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,919.9	1,886.0	98.23
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	4,855.0	4,812.0	99.11
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	43.6	37.7	86.46
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	135.0	135.0	100,00
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	1,625.0	1,179.4	72.57
709	განათლება	20,614.9	18,872.9	91.54
7091	სკოლამდელი აღზრდა	15,282.5	15,279.8	99.98
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	1,238.5	1,182.6	95.48
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	4,093.9	2,410.5	58.88
710	სოციალური დაცვა	3,089.8	2,878.8	93.17
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	269.0	268.0	99.62
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	269.0	268.0	99.62
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	22.5	18.7	83.11
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	91.0	84.8	93.18
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	66.0	58.3	88.33
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2,560.1	2,371.8	92.64
	სულ	110,259.8	102,433.3	92.90

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2025 წლის გადასახდელის დაფინანსებამ 104972,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (112798,6) 93,1 პროცენტია.




პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ათას ლარებში

გადასახდელის სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით				
პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	112798,6	104972,1	93,1
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	16943,6	16764,2	98,9

02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	50434,5	45388,6	90,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	10665,2	10570,1	99,1
04 00	განათლება	20614,9	18872,9	91,5
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	8578,5	8050,1	93,8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5561,9	5326,2	95,8

გადასახდელების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით



1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულებამ (ბიუჯეტის კოდი 01 00) 2025 წელს შეადგინა 16764,2 ათასი ლარი, რაც უტოლდება გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მიიმართა 12325,6 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ საკრებულოს საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფაზე 2115,3 ათასი ლარი;
- ✓ მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 10210,3 ათასი ლარი;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მიზნობრივი დანიშნულებით მერის ბრძანებით გამოიყო - 32,0 ათასი ლარი, მათ შორის:

ლარებში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2025 წლის 1 იანვრიდან 31 ივნისამდე თანხების გამოყოფისა და ხარჯვის შესახებ					
სარეზერვო ფონდი		01 02 01			
N	ლონისძიების შინაარსი	მერის ბრძანების N, თარიღი	ბრძანებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	ბიუჯეტის ორგანიზაციული კოდი	საკასო შესრულება
1	ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) პროექტის _ „საბავშვო უნივერსიტეტი“ ფარგლებში, დაგეგმილ შემეცნებით ლექციებზე ზუგდიდის საჯარო და კერძო ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების მე-9 და მე-12 კლასის მოსწავლეების (50 მოსწავლე) დასწრების უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა.	ბ24. 24250365 თარიღი:05/02/2025	5000	04 04	5000
2	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2/ზ-35-2023 (10.02.2025) სააღსრულებო ფურცლის და აღსრულების ეროვნული ბიუროს A25031703-004/001 (14.02.2025) შეტყობინების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, შპს „მკს“-ს (ს.კ 206256727) სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ანაზღაურება.	ბ24. 242510018 თარიღი:10/04/2025	3001	01 02 04	3001
3	მოქალაქე უტა ფონიავასთვის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებით თანხის გამოყოფა.	ბ24. 242512812 თარიღი:08/05/2025	5000	06 01 03	5000

4	სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ოჯახის წარმომადგენლის, 2008 წლის აგვისტოს ომში სამშობლოს დაცვისთვის გმირულად დაღუპული მებრძოლის, ზადრი ბერანძის შვილის საზა ბერანძისთვის სწავლის საფასურის თანადაფინანსების თანხის გამოყოფა.	ბ24. 24251562 თარიღი:05/06/2025	1925	06 02 02	1925
5	სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ოჯახის წარმომადგენლის, 2008 წლის აგვისტოს ომში სამშობლოს დაცვისთვის გმირულად დაღუპული მებრძოლის, ზადრი ბერანძის შვილის საზა ბერანძისთვის სწავლის საფასურის თანადაფინანსების თანხის გამოყოფა.	ბ24. 24251676 16/06/2025	1925	06 02 02	1925
6	2025 წლის 14-18 ივლისს აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. გომბორში განთავსებულ მოსამზადებელ ცენტრში დაგეგმილი მოხალისეთა მომზადება-გადამზადების შეკრებაზე ზუგდიდი-გომბორის და გომბორი-ზუგდიდის მიმართულებით მოხალისეთა ჯგუფის (45 კაციანი მოხალისეთა ჯგუფი) ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.	ბრძანება:ბ24. 242519215 თარიღი:11/07/2025	3250	01 01 02	3250
7	ქართული კალიგრაფიისა და თეატრის პირველი საერთაშორისო ფესტივალი „გულანის“ ფარგლებში მიმდინარე წლის 24 ივლისს სენაკის დრამატულ თეატრში 55 მონაწილის დასწრების უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა.	რძანება:ბ24. 242520410 თარიღი:23/07/2025	450	04 04	450
8	2025 წლის 4-8 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. გომბორში განთავსებულ მოსამზადებელ ცენტრში დაგეგმილი მოხალისეთა მომზადება-გადამზადების შეკრებაზე ზუგდიდი-გომბორის და გომბორი-ზუგდიდის მიმართულებით მოხალისეთა ჯგუფის	ბრძანება:ბ24. 242521210 თარიღი:31/07/2025	1000	01 01 02	1000

	ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.				
9	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში (რუსთაველის ქ. N90) არსებული გათბობა/გაგრილების სისტემის (ჩილერის) სიხშირული ინვენტორის შესყიდვის და თანმხლები მომსახურების შესყიდვა.	ბრძანება: ბ24.24252243 თარიღი: 12/08/2025	3800	01 01 02	3800
10	შპს „ვიქტორია სექიურითისგან“ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ობიექტის დასაცავად მიდინარე წლის 2 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მომსახურების შესყიდვა	ბ24. 24252456 თარიღი: 02/09/2025	3600	02 07 03	3600
11	სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარება.	ბრძანება: ბ24. 24252976 თარიღი: 24/10/2025	1200	06 02 09	1200
- დიდინემის ადმინისტრაციული ერთეულში, აღმაშენებლის ქუჩის V ჩიხში გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 3.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული საავტომობილო გზების საფარის რეაბილიტაციისათვის (მოხრეშვისათვის) ინერტული მასალის შესყიდვა - 20.0 ათასი ლარი;
- დიდინემის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ჯუშზე არსებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები - 9.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N15 საბავშვო ბაღის ერთი ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 10.2 ათასი ლარი;
- ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯავახიშვილის ქუჩაზე დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2.0 ათასი ლარი;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მოგირის უბანში გარე განათების მოწყობა - 2.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, დევნილთა დასახლებაში არსებულ მოედანზე კაუჩუკის საფარის მოწყობა - 4.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, სანიაღვრე არხზე დაზიანებული ცხაურების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2.6 ათასი ლარი;
- ერგეტას ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღთან ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 7.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩილაჩავას ქუჩაზე, საპატრულო პოლიციის შენობის წინ არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4.8 ათასი ლარი;
- ორსანტას ადმინისტრაციულ ერთეულში კიკავების უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები - 1.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩილაჩავას ქუჩაზე, საპატრულო პოლიციის შენობის წინ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები - 10.3 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, წყურგილეს უბანში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 4.8 ათასი ლარი.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

2025 წელს დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 10570,1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 10665,2 ათასი ლარი), აქედან 8197,1 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური

პროგრამის დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი: 03 01), რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“. თანხები განაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	10,665.2	10,570.1	99.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	8,253.8	8,197.1	99.3
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	900.0	900.0	100.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	1,394.5	1,394.5	100.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	50.0	50.0	100.0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	38.4	0.0	0.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მდრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან	28.5	28.5	100.0

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	დასუფთავება და ნარჩენების გატანა (0301)
პროგრამის განმახორციელებელი	აიპ „ზუგდიდდასუფთავება“
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>2025 წელს 8,197.1 ათასი ლარი მიმართა დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი: 03 01), რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ 6,282.0 ათასი ლარი მიმართულ იქნა - შრომის ანაზღაურებაზე; 1,903.4 ათასი ლარი კი - საქონელსა და მომსახურებაზე.</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2025 წელს მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერებისა და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდის შედეგად, გაიზარდა როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის მომსახურეობის სერვისის მიწოდების ჯერადობა და მომსახურეობის ხარისხი. ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების, საჯარო სივრცეების და ცალკეული ქუჩების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი, უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სოფლები, ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის მქონე ობიექტები.</p>

	<p>ეფექტურად ხორციელდებოდა ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების პროცესი, შედეგად შემცირდა ნაგავსაყრელზე მოხვედრილი ნარჩენების მოცულობა, გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.</p> <p>სეპარირების მაჩვენებლები მზარდი მონაცემებით ხასიათდებოდა და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდებოდა საკუთარი შემოსავლები, კერძოდ:</p> <p>2025 წელს სეპარირებული და რეალიზებული იქნა 280 ტონა ქაღალდი და მუყაო, თითქმის 2-ჯერ მეტი 2024 წელთან შედარებით და მიღებული იქნა 90.4 ათასი ლარის ფულადი შემოსავალი. სულ სეპარირებული შებენიანების დაწყებიდან რეალიზებულია 710 ტონა ქაღალდი და მუყაო 200.4 ათასი ლარის ოდენობით.</p> <p>საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად შესრულებული სამუშაოები და პროგრამის განხორციელების ინდიკატორული მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგ მონაცემებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • 2025 წელს მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ 13000-ზე მეტ ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100% -ს; სოფლის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90 %-ს; ეკონომიკის სექტორის 1220-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 33.1 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი. 700.0 ტონით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 32.6 ათასი ტონა, ხოლო 280 ტონა ქაღალდი და მუყაო (დაახლოებით 36,4 მ3) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას, დაწინებას და რეალიზაციას; • ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან ნაგავსაყრელში სულ გაზიდულია 24.1 ათასი ტონა, ყოველდღიურად კი, ქალაქიდან გაიზიდებოდა 67.0 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი; • სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 8.1 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ყოველდღიურად გაიზიდებოდა 22.4 ტონა მყარი ნარჩენი; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გასულ წელს ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა - აკრეფვის წესით სუფთავდებოდა 45.7 ჰექტარი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31.1 ჰექტარი, სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში კი 14.6 ჰექტარი; გარდა ამისა, ხელით აკრეფვის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, მთავარი გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები; • ცენტრის ძალებით ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მრავალსართულიანი სახლების ეზოები, ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ეზო, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სკეიტ-პარკი, „ვეტერანთა ხეივანი“, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგურისა და ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია და სხვა; • ცენტრი მომსახურეობას უწევდა მუნიციპალიტეტის 180 - ზე მეტ სასაფლაოს; <p>დღეს მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდება ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები და გაუმჯობესდება ეკოლოგიური გარემო; • შეიქმნება საზოგადოების ინტერესებზე მორგებული 	მიღწეული შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში შექმნილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო; ქალაქ ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული</p>

	<p>ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა;</p> <ul style="list-style-type: none"> • მყარი ნარჩენების შეგროვების, განთავსებისა და სეპარირება - რეციკლირების პროგრამების განხორციელებით, გარეშე და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაინერგება ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტები და შეიქმნება მოსახლეობისა და ეკოსისტემის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ოპერირების სისტემა; • როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ტურისტების და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქი და სოფლები, ბაღები და სკვერები, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა ტურისტული ობიექტები; • ნარჩენების გატანის სერვისი მიეწოდება ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტებს 	<p>ერთეულების ცენტრებსა და უბნებში უზრუნველყოფილია ნარჩენების შეგროვება და ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება</p>
--	--	---

<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>შპს „ANAKLIAGANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა (0302)</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი: 03 02) 2025 წელს ათვისებული იქნა 900.0 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 601.7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 74.7 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად. ამასთან თანხები გაიხარჯა ისეთი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით; • განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მიწის საფარის განახლება, კერძოდ: ქვიშის დაყრა, მიწის საფარის დაჩხვლეტა, ნიადაგის დატკეპვნა და მინერალური სასუქის შეტანა; • კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე ორ სანიტარულ კვანძს; • ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა კბილანა ბარიერი და შესაბამისი მაჩვენებელი ნიშანი, ასევე ბულვარის ტერიტორიაზე განხორციელდა საჩრდილობლების გადახურვა ბამბუკით; • ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მოწესრიგების მიზნით შეტანილ იქნა კვარციტული ქვიშა; • შეძენილ იქნა კაიაკის ტიპის ნავეები თავისი ბუქსირებით;

	<ul style="list-style-type: none"> დაიწყო ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის დაზიანებული ნაწილების ჩანაცვლება - რეაბილიტაციის სამუშაოები. <p>საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ჯამმა შეადგინა: 172.5 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრებით განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:</p> <ul style="list-style-type: none"> მოეწყო ორი ღია სავაჭრო ობიექტი; აშენებულ იქნა 5 გასახდელი; ბულვარის ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრორეგულირებადი შლაგბაუმი; ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე სველ წერტილებთან მოეწყო სეპტიკი; სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა გასართობი ღონისძიებები და გადაღებულ იქნა სარეკლამო კლიპი.
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>1. მკვეთრად გაუმჯობესებული და განახლებული ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა;</p> <p>2. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი;</p> <p>3. კომპანიაში გაჩენილი დამატებითი საკუთარი შემოსულობები.</p>

<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა (0303)</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2025 წლის მონაცემებით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი თემატური აქტივობები.</p> <p>გასულ წელს ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“, რომელიც არის ზემოხსენებული პროგრამის განმახორციელებელი, გამოეყო ასიგნება 1 394.5 ათასი ლარი, რომელიც სრულად ათვისებულია და უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 1 341.5 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას; 31.7 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებას; 21.3 ათასი ლარი სოციალურ უზრუნველყოფას.</p> <p>საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბოტანიკური ბაღში შეადგინა 278,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 251,0 ათასი ლარი.</p> <p>ბოტანიკური ბაღის ძალებით 2025 წელს ჩატარდა რიგი აქტივობები და პრაქტიკული ღონისძიებები მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით:</p>

	<p>ა) კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის კუთხით ბოტანიკურმა ბაღმა ღია და დახურულ სივრცეში უმასპინძლა სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჟურნალისტთა კლუბმა "სარკმელი", საინფორმაციო ფოტომართონი "კადრის ფესტივალი 2025" გამართა პლატფორმა "ჩემი მედიასახლის" და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მხარდაჭერით, რომელსაც 35 მონაწილე მონაწილეობდა; • ჩატარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი "ღია გაკვეთილი ბუნებაში", პროექტში 10 სკოლის 150 მოსწავლის მონაწილეობით; <p>ბაღში დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "დეკორატიული მებაღეობის" ღია კარის დღე გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა 50-მდე სტუდენტი;</p> <ul style="list-style-type: none"> • შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულმა პარტნიორმა, ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა, სასწავლო საწარმოს სტატუსი 6 წლის ვადით მიიღო. 2019 წლიდან დღემდე, ზემოხსენებულ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობით, წარმატებით ხორციელდება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა,“ რომელიც 23 სტუდენტმა დაამთავრა. • ბოტანიკური პერიოდულად მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს (შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, ზაფხვთა დაცვის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ა.შ.). <p>ბ) მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელებულია რიგი აქტივობები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 12 თვის განმავლობაში ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე ღია სივრცეში დაირგო ახალი ნერგები (შესყიდული, უსასყიდლოდ გადმოცემული, ბაღში გამოყვანილი), სულ 26 787 ნერგი, მათ შორის: ხე-ბუჩქი 1411 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი 25376 ერთეული; • შესყიდულ იქნა 182 სახეობის 587 ერთეული ნერგი, მათ შორის 196 ერთეული ვარდი და 23 ლოროპეტალუმი, 320 ლავანდა და 48 იასამანი; • უსასყიდლოდ გადმოცემულია 25742 ერთეული ნერგი, მათ შორის 656 ხე-ბუჩქი, 25086 ბალახოვან-ყვავილოვანი; • სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ 14086. მათ შორის 8979 ხე-ბუჩქი და 5107 ბალახოვან-ყვავილოვანი; • სულ მოეწყო 12 ახალი ყვავილნარი (5 გადაჭრილი ხის მორზე, 7 ღია სივრცეში); • შეივსო რცხილების ხეივანი 25 ძირი კავკასიური რცხილას ნერგით, მოეწყო კოლხური ზვისა (320 ერთეული) და გარდენიას ხეივანი (42 ერთეული); • ბოტანიკური ბაღის მიერ, სხვადასხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ გადაეცა სულ: 8007 ერთეული მცენარე. მათ შორის ბუჩქი 109 ძირი, ბალახოვან-ყვავილოვანი 7898 ძირი; • სარეალიზაციოდ გამოყვანილ იქნა 45 სახეობის 3553-მდე ქოთნის მცენარე; <p>მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება ხე-მცენარეებსა და ბუჩქებზე, როგორც მორფოლოგიური ასევე ანატომიური თვალსაზრისით. ასევე ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის გაციფრულება, ამჟამად ეტიკეტირებულია 371 სახეობის 8000-მდე ერთეული ხე-ბუჩქი. მომზადდა 14 დენდროლოგიური აქტი დასკვებით.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<p>თანამედროვე სანდარტების დონეზე მოწყობილი ინფრასტრუქტურა; • გამლიერებული ტურისტული, რეკრეაციული და სამეცნიერო შესაძლებლობები; • მოვლილი და გამრავლებული ენდემური და ეგზოტიკური მცენარეები; •</p>	მიღწეული შედეგი	<p>თანამედროვე სანდარტების დონეზე მოწყობილია ინფრასტრუქტურა; • გამლიერებულია ტურისტული, რეკრეაციული და სამეცნიერო</p>

	<p>განახლებული გამწვანება; • გამართული სარწყავი სისტემა; • მოწესრიგებული დასასვენებელი ადგილები, ბილიკები, მინდვრები და კეთილმოწყობილი ღია კაფე; • ადგილობრივი და უცხოელი დამთვალიერებლების გაზრდილი ოდენობა</p>		<p>შესაძლებლობები; • მოვლილი და გამრავლებულია ენდემური და ეგზოტიკური მცენარეები; • განახლებულია გამწვანება და შექმნილია პირობები კომფორტული დასვენებისთვის</p>
--	---	--	--

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (0304)		
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 50.0 ათასი ლარი, რომლის უდიდესი ნაწილი მოხმარდა 370-მდე მსხვილფეხა საქონლის ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის მომსახურების თანადაფინანსებას და სახელმწიფო პროგრამაში - "დანერგე მომავალი" მონაწილე ფერმერების ხელშეწყობას, კერძოდ ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების მომსახურების თანადაფინანსებას.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<p>მხარდაჭერილია სოფლის მეურნეობის განვითარება; შექმნილია სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურა; გაუმჯობესებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა; დაინტერესებული პირები ინფორმირებული არიან სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდას და ქმნის მეტ დოვლათს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.</p>	მიღწეული შედეგი	<p>მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება</p>

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან (0308)		
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული პროგრამის ფარგლებში გარკვეული მუშაობა ტარდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მოსახლეობის მღრღნელებისა და მოხეტიალე უზედამხედველო ცხოველებისგან დაცვის მიზნით, რომელიც მოიცავდა მიუსაფარი ძაღლების გაყვანას, ვაქცინაციას, კასტრაციას და უკან დაბრუნებას თავისუფალ არეალში; გარეული მტაცებელი ცხოველების (მგელი, ტურა) ამოღებას ველური ბუნებიდან; ქვეწარმავლებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ტერიტორიის შეწამვლას. ამ დანიშნულებით 2025 წელს ათვისებულია 28.5 ათასი ლარი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია მოსახლეობის უსაფრთხოება	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მუნიციპალიტეტში განათლების დარგით საბიუჯეტო ასიგნების მოცულობა მიმდინარე წელს განისაზღვრა 20614,9 ათასი ლარი მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18578,5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18872,9 ათასი ლარი. აქედან ძირითადი თანხა 15279,8 ათასი ლარი მიიმართა განათლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის - „სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა“-ს დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ზემოხსენებული ცენტრის მიერ მიმდინარე წელს გაწეულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, ნორჩი აღსაზრდელების სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელ - პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ეს დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში მოქმედი 63 საბავშვო ბაღის ნორმალურ და გამართულ ფუნქციონირებასთან.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	20,614.9	18,872.9	91.5
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	15,282.5	15,279.8	100.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1,238.5	1,182.6	95.5
04 04	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	91.5	91.0	99.5

04 05	ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	410.2	407.8	99.4
04 06	შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	44.1	44.0	99.8
04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	3,548.1	1,867.7	52.6

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა (0401)
პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს აკისრია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ფუნქცია, რომლის მიზანია საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება.</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45 - სოფლად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღებში კონტიგენტი განისაზღვრება 3553 ბავშვის რაოდენობით. აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, გახსნილია 164 სააღმზრდელო ჯგუფი.</p> <p>ზემოხსენებული ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, აღსაზრდელების სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელ - პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.</p> <p>ცენტრის მიერ 2025 წელს სუბსიდიის სახით საბიუჯეტო თანხები მიიმართა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:</p> <ul style="list-style-type: none"> • 11687,5 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება); • 3425,7 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ✓ 631,7 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; ✓ 1072,6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს; ✓ 1335,3 ათასი ლარი - ბავშვთა კონტიგენტის კვებით მომსახურებას; ✓ 362,6 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას; • 98,4 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას. <p>13 საბავშვო ბაღი განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომლის ქირავნობის საფასური გასული საანგარიშო პერიოდში გადახდილია 253.2 ათასი ლარი.</p> <p>ყოველწლიურად ტარდება სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნიდან გამომდინარე, გადახდილია ამ დანიშნულებით 2025 წელს გადახდილია 19.1 ათასი ლარი.</p>

	<p>უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს სკოლამდელი დაწესებულებათა მართვის სფეროში ჩატარებულია რიგი ღონისძიებები და აქტივობები:</p> <p>2025 წლის ბოლოს 63-ვე საბავშვო ბაღში ჩატარდა საახალწლო ზეიმები/აქტივობა, თითოეული საბავშვო ბაღის პერსონალმა პატარა აღსაზრდელების საახალწლო განწყობის ამაღლებაზე იზრუნა. ზეიმების დასასრულს, 3553 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 33.5 ათასი ლარი.</p> <p>ავტორიზაციის სტატუსის მისანიჭებლად, სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირებულმა 9 (ცხრა) საბავშვო ბაღმა, კერძოდ კი: №1, №2, №12, №13, №16, №18, ანაკლიის, ჯუმის, შამგონის საბავშვო ბაღებმა გაიარეს ატესტაცია.</p> <p>2025 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალაშენებული, სტანდარტების შესაბამისი: შამგონის, ქვემო კახათის, ერგეტის და დარჩელის №1 საბავშვო ბაღები. მშენებლობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.</p> <p>აგრეთვე აშენებულია და იგეგმება ეტაპობრივად ექსპლუატაციაში გადაცემა: რუხის, ჭითაწყარის, კახათის „რწმენა“, ნარაზენის №2, რიყის, ცაცხვის, ოქტომბრის და №5 საბავშვო ბაღები.</p> <p>მუნიციპალიტეტის მერიის და ააიპ ზუგდიდის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ინიციატივით ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მიერ, განხორციელდა საგრანტო პროექტი ბაღების აღჭურვა ტექნიკით, რის შედეგადაც №1, №2, №3, №4, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №16, №18, აგრეთვე ახალკახათის, კოკის, ნარაზენის №1, ზედაეწერის, ჭკადუაშის, ორულუს ბაღები. პროექტის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა თანამედროვე სამზარეულო ინვენტარით, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ბავშვთა ჯანსაღ კვებას, ჰიგიენას და შეიქმნება სტანდარტის შესაბამისი გარემო.</p>	
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო; გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; გაუმჯობესებული კვების რაციონი და ხარისხი; გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, კვალიფიციური (სერტიფიცირებული) აღმზრდელები; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფართო ხელმისაწვდომობა; სკოლისთვის მომზადებული ბავშვების გაზრდილი ოდენობა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p> <p>შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო; გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; გაუმჯობესებული კვების რაციონი და ხარისხი; გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, კვალიფიციური (სერტიფიცირებული) აღმზრდელები; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფართო ხელმისაწვდომობა; სკოლისთვის მომზადებული ბავშვების გაზრდილი ოდენობა.</p>

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (0403)		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.</p> <p>ზემოთაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2025 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 1238.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ მოცულობამ შეადგინა 1182.6 (ერთი მილიონ ასოთხმოცდაორი ათას ექვსასი) ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99.43%-ია. 2025 წელს მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) 52,2 ათასი ლარი.</p> <p>აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია მოხმარდა:</p> <ul style="list-style-type: none"> • 994,7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება); • 181,1 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის: ✓ 23,1 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; ✓ 19,5 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს; ✓ 132,9 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას • 6,7 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას. <p>ზემოხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებითი კოლექტივებსა და ჯგუფებს 2025 წელს მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანსამბლი გინცის სოლისტებმა, მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას ვეგასის საერთაშორისო „Golden dream 2025“ კონკურს-ფესტივალზე; • სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ქ. თბილისში საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით, საკლუბო ჩემპიონატში „STAR CUP 2025“; • თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“ თბილისში გამართულ “OPEN NATIONAL CHEMPIONSHIP OF GEORGIA 2025 “ მიიღეს მონაწილეობა და საქართველოს თასი მოიპოვეს. • ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ. სოფიაში საერთაშორისო ფესტივალზე „Sunny Olympia“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო და უმაღლესი ჯილდო - გრან პრი მოიპოვა ქ. სოფიაში (ბულგარეთი) გამართულ საერთაშორისო ფესტივალში. <p>სასახლის დრამატული სტუდია „შთამომავლები“ ქალაქ თელავში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე „გაზაფხულის დღეები“ მონაწილეობა მიიღო და ფესტივალის მთავარი პრიზი „გრანპრი“, ასევე ფულადი ჯილდო 1000 ლარი გადაეცა, „შთამომავლებს“ სპექტაკლისათვის „HELLADOS“ ნომინაციაში, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება სპექტაკლმა „ პეპის ოინები“ მოიპოვა. სტუდიის ყველა მონაწილე დიპლომით, მედლითა და სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მოსწავლეთა შესაძლებლობების, უნარჩვევების, მისწრაფებების,	მიღწეული შედეგი	მოსწავლეთა შესაძლებლობების,

	<p>განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა; მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება; ახალგაზრდობში ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ჩამოყალიბება; ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია; მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია; ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება; ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და განვითარების ასპარეზის შექმნა</p>	<p>უნარჩვევების, მისწრაფებების, განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა; მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება; ახალგაზრდობში ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ჩამოყალიბება; ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია; მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია; ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება; ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და განვითარების ასპარეზის შექმნა</p>
--	--	---

<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა (0404)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საგანმანათლებლო შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2025 წელს გათვალისწინებული 91.5 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა წიგნების და სიგელების შექმნის, საზღვარგარეთ ბანაკის მომსახურების შესყიდვას და მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ჯილდოების გაცემას.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარების, ზოგადი განათლების დონის ამაღლების, შემეცნებით კონკურსებში ჩართულობის, სასწავლოაკადემიური კუთხით მიღწეული მაღალი ხარისხობრივი შედეგები; მოსწავლეთა მეტი ჩართულობა, სასწავლო-აკადემიური დონის ამაღლება; მეტი რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სასკოლო დაწესებულება.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარების, ზოგადი განათლების დონის ამაღლების, შემეცნებით კონკურსებში ჩართულობის, სასწავლოაკადემიური კუთხით მიღწეული მაღალი ხარისხობრივი შედეგები; მოსწავლეთა მეტი ჩართულობა, სასწავლო-აკადემიური დონის ამაღლება; მეტი რეაბილიტირებული და</p>

		კეთილმოწყობილი სასკოლო დაწესებულება.
--	--	--------------------------------------

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (0405)		
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით 2025 წელს გათვალისწინებული 410.2 ათასი ლარიდან გახარჯულია 407.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;</p>

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა (0406)		
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სსიპ შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 44.0 (ორმოცდაოთხი ათასი) ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შენობის გარე ფასადის მოწესრიგების სამუშაოებს.</p>		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	სტუდენტების მეტი დაინტერესება საუნივერსიტეტო ცხოვრებით, სტუდენტთა თვითმმართველობის აქტივობებისა და პრაქტიკული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა	მიღწეული შედეგი	სტუდენტების მეტი დაინტერესება საუნივერსიტეტო ცხოვრებით, სტუდენტთა თვითმმართველობის აქტივობებისა და პრაქტიკული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა
----------------------------	--	-----------------	--

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2025 წელს ასიგნებანი განსაზღვრული იყო 8578,5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 8050,1 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	8,578.5	8,050.1	93.8
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	2,644.0	2,166.1	81.9
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,831.1	1,800.3	98.3
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	88.8	85.7	96.5
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	724.1	280.1	38.7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	5,033.6	4,984.7	99.0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1,920.0	1,919.7	100.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	23.8	23.8	100.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	1,204.9	1,182.5	98.1
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	407.1	388.5	95.4
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	43.6	37.7	86.5
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135.0	135.0	100.0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	1,279.2	1,277.5	99.9

05 02 08	ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა	20.0	20.0	100.0
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	80.0	80.0	100.0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	790.9	789.3	99.8
05 05	სსიპ შ.დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	30.0	30.0	100.0

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი (050101)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ მიმართა 1800.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1831.1 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე - 1,175.8 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 182.0 ათასი ლარი; სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისთვის - 52.3 ათასი ლარი; კვების ხარჯებისთვის - 70.4 ათასი ლარი; სპორტული ღონისძიებისათვის - 116,8 ათასი ლარი.</p> <p>წლის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ოცამდე საერთაშორისო და 70-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის ჩვიდმეტი სახეობის ტურნირში, როგორცაა: ძალოსნობა, კრივი, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ტაეკვანდო, რაგბი, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, კიკბოქსინგი, კუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში.</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ოცდაათამდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის ტურნირი „დებიუტანტი“ ჭადრაკში; სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში; ზუგდიდის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში (U15); საქართველოს პირველობა რაგბიში (დასავლეთ ზონის B ჯგუფი); „კოლხეთის თასი“ ჭიდაობა ძიუდოში; საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში; „საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი“; „სპორტის საერთაშორისო დღე“; ველორბოლა 2025; ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა 2025“; სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო და კერძო სკოლის 124-მა მოსწავლემ.</p> <p>სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 120-მდე სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა ცხრაშვიდი ზუგდიდელმა სპორტსმენმა, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გოგა ჯაჯუცანი - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში (პერუ); • ნათია გადელია - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში, (დურესი, ალბანეთი); - ოქროს მედალი; • ნიკა ბიგვავა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო);

	<ul style="list-style-type: none"> • გივი თოდუა - მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში - WBF-ის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი (თბილისი, საქართველო); • ელენე ქარჩავა - ევროპის ჩემპიონი კრივში - ოქროს მედლის მფლობელი; • ლევან დადეშქელიანი - სპორტულ კარატეში - ოქროს მედლის მფლობელი; • ნიკა ჭაფანძე - ევროპის ჩემპიონატზე კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში გამარჯვებული; • გიგა სიჭინავა - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი; • დიმიტრი ბერაია - ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი. 	
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებას პორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p> <p>ზუგდიდელი სპორტსმენების წარმატებული ასპარეზობა 0020 როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონის ჩემპიონატებსა და ტურნირებში;</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების მძალხარისხიდან მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის; • ხელსაყრელი პირობები შეიქმნება სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდების რეგულარული ჩართულობისათვის; • მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება; • სპორტულ სექციებში მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენების რაოდენობის გაზრდა; • მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტსმენების მატერიალურად წახალისების პირობების უზრუნველყოფა

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (050102)</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, მეცლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო პროექტი - „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ და ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „მეგრი“ „BETLIVE MASTER LEAGUE“</p>

	<p>ჩემპიონატში ჩართვისათვის; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში დაფინანსდა ერთი პროექტი; ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა კომპაკ სპორტინგის ჩემპიონატი; საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო მუსიკალური ჯგუფი „ურსას“ კონცერტი; ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა „ავტო დრაგის“ ჩემპიონატი; მოეწყო ტექნოლოგიური ბანაკი ახალგაზრდებისთვის. სულ პროგრამის ფარგლებში ათვისებულ იქნა 85.7 ათასი ლარი.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება;</p> <p>ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა;</p> <p>არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;</p> <p>სპეციალური საჭიროების მქონე შშმ ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;</p> <p>ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;</p> <p>ახალგაზრდებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა;</p> <p>ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და პროექტების მხარდაჭერა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ნიჭიერი, ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება; • ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; • ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა ინტელექტუალურ და სპორტულგამაჯანსაღებელ ღონისძიებებში; • რეგიონულ, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალგაზრდა სპორტსმენთა და ინტელექტუალურ მოსწავლეთა მონაწილეობა.

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა (050201)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>„ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.</p> <p>2025 წელს ზემოაღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 1920,0 ათასი ლარი, რომელიც პრაქტიკულად სრულად ათვისებულია. აღნიშნული მიმართული იქნა მირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ: 1 594,3 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე, 323,9 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე. რაც შეეხება საკუთარ სახსრებს, შემოსავალმა შეადგინა 22,3 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 18,4 ათასი ლარი (საქონლისა და მომსახურების ხარჯი).</p> <p>„ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ პროფილი მრავალფეროვანია და ის მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას. ცენტრის მიერ გასულ წელს ჩატარებულია აღნიშნული მიმართულების 35-მდე</p>		

კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე აქტივობა, კონკრეტულად:

- 1 იანვარს - ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მონაწილეობდა ტელეკომპანია იმედის ყოველწლიურ საახალწლო გადაცემაში „საშობაო მეჯლისი“;
- 7 მარტს - ბელგიაში ქალაქ გენტში მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეის ექსპოზიციონერის, მხატვარ ელენე ფიფიას მორიგი პერსონალური გამოფენა გაიხსნა;
- 3-14 აპრილს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა მოეწყო;
- 17-24 აპრილს - თურქეთის რესპუბლიკაში ქ. მერსინში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“. ღონისძიება ქ. მერსინის მერიის ორგანიზებით განხორციელდა;
- 18 მაისს - მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა კონდრატე თათარიშვილის სახლ-მუზეუმში;
- 22 ივნისს - ქალაქ ფოთში გაიმართა „კოლხურ-ლაზური“ კონკურს-ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“. ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლს გადაეცა ცნობილი ხელოვანის ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის სპეციალური პრიზი;
- 25 ივნისს - ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს მორიგი პრემიერა უჩვენა. წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“;
- 14 - 15 ივლისს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის, ფოლკლორის V საერთაშორისო ფესტივალი “კოლხი და...” ჩატარდა. ფესტივალი, საქართველოს სახალხო არტისტის, ლობჯინაძისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენითა და კონცერტით - “ჯემალ ჭკუასელი 90” გაიხსნა. ფესტივალი გალა-კონცერტით დაიხურა, რომელშიც უცხოური და ქართული სახელმწიფო აკადემიური და მუნიციპალური ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ;
- 1-2 სექტემბერს, ზუგდიდში უკვე ტრადიციად ქცეული კლასიკური მუსიკის IV ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება 1 სექტემბერს გაიხსნა, ხოლო 2 სექტემბერს - ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში დასკვნითი კონცერტით დაიხურა;
- 14 სექტემბერს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში გამართულ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭების ცერემონიაზე, სპეციალური კონცერტი გამართა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“.
- 1 - ოქტომბერს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის იონა მეუნარგიას სახლ- მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ და ფოლკლორული ანსამბლი ოდოია წარსდგა მაყურებლის წინაშე;
- 28 ოქტომბერს - სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო შემოდგომის მოტივებზე შესრულებული ნახატები;
- 12 დეკემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ამავე ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი გაიმართა;
- 17 დეკემბერს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ჩხორიის სამოყვარულო თეატრში ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“- პრემიერა გაიმართა. რეჟისორი-ვეფხვიან გორგოძე, მხატვარი - რევიკ შარია;
- 29 დეკემბერს - მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების საახალწლო - საშობაო გამოფენა მოეწყო;
- 29 -დეკემბერს სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ხელოვნების ფესტივალი - „სახალწლო მეჯლისი,“ სადაც მონაწილეობდა ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა.“
- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, სამხატვრო გალერეის,

	სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. ცენტრის საკუთარი შემოსავალი დაიგეგმა 2025 წლისთვის 30 000 ლარის ოდენობით. შემოსავალმა შეადგინა 22 927 ლარი.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 32 მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება; მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი სადამოების მოწყობა.	მიღწეული შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 32 მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება; მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი სადამოების მოწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა (050202)
---	---

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, 2025 წელს ათვისებულია 23.8 ათასი ლარი, რომელიც მიიღობა: საერთაშორისო კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი - „ანაკლია 2025“-ის ჩატარებაზე და „ნორჩი მკვლევარი 2025“-„ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ კონკურსის ფარგლებში, ფინალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოებისათვის სასაჩუქრე წიგნების შესყიდვაზე.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენითი ხასიათის სამუშაოების შედეგად მოხდება ისტორიული მნიშვნელობის ნიმუშების პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება. შედეგად გაიზრდება სხვადასხვა პროექტებში საზოგადოების ჩართულობა და ინტერესი;</p> <p>სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება; შესრულებული სამუშაოების შედეგად ახალი პრიორიტეტების გამოკვეთა; მოწესრიგდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობა; ხელი შეეწყობა მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლების განთავსებას</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენითი ხასიათის სამუშაოების შედეგად მოხდება ისტორიული მნიშვნელობის ნიმუშების პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება. შედეგად გაიზრდება სხვადასხვა პროექტებში საზოგადოების ჩართულობა და ინტერესი; სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება; შესრულებული სამუშაოების შედეგად ახალი პრიორიტეტების გამოკვეთა; მოწესრიგდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობა; ხელი შეეწყობა მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლების განთავსებას</p>

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა (050203)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ა(ა)პ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სუბსიდირებაზე 2025 წელს გამოიყო 1,182.5 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა - 1,111.0 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, 71.5 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურეობაზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანული ცენტრალური, 3 საქალაქო და 30 სასოფლო ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში მოემსახურა სულ 6961 მკითხველს, ჩატარებულ აქტივობებს დაესწრო 611721 დაინტერესებული პირი, დაფიქსირდა წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემის 101330 ფაქტი.</p> <p>განვილილ საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი შეივსო 1430-მდე წიგნით; შესყიდულ იქნა 818 ცალი, საჩუქრად მიღებულ იქნა 519, ხოლო ვაუჩერით შეძენილ იქნა - 91 ცალი წიგნი.</p> <p>2025 წლის ბოლოს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის წიგნადმა ფონდმა შეადგინა -187399 წიგნი, რომლის ჯამური ღირებულებაა - 472.0 ათასი ლარი.</p> <p>ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას. გასულ წელს ჩატარებულია სულ 100-ზე მეტი ღონისძიება და აქტივობა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროექტის „ელაპარაკე ახალგაზრდებს“ ფარგლებში საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტისა და ლოტბარის სერგო ურუშაძის მიერ ჩატარებული მასტერკლასი მეგრულ ფოლკლორზე. მასტერკლასში მონაწილეობა მიიღეს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა; • ქ. ზუგდიდის სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპა ნოსტრას ექსპერტთა მისია, ჭაქვინჯის ციხის დეტალური შესწავლის, მისი გადარჩენისთვის შესაბამისი საექსპერტო დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში. გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტივები და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები; • ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა ლიტერატურულ - საგანმანათლებლო პროექტი - ამბები „ვეფხისტყაოსანზე.“ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტივობები: დიანა ანფიმადის წიგნის - „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ პრეზენტაცია; საუბარი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, პირველ რუსთველოლოგზე, ბრიტანელ ქართველებსა და „ვეფხისტყაოსანზე“. გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემების გამოფენა; • ჩატარდა ბერტა ფონ ზუტნერის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებლის, გერმანიის ბესიკ გეგეჭკორის საჯარო ლექცია - "ბერტა ფონ ზუტნერის მოღვაწეობა სამეგრელოში". საჯარო ლექცია მიემდვნა ავსტრიელი მწერლის, პაციფიზმის საერთაშორისო მოძრაობის აქტივისტის ბერტა ფონ ზუტნერისათვის ნობელის პრემიის გადაცემიდან 120 წლისთავს; • ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალში გაიმართა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის ნომრების კომპლექტის წარდგენა. გაზეთის კომპლექტი გამოიცა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტ „გიგანტური წიგნების“ ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნოდარ დუგლაძე. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი, გაზეთ „ივერიის“ ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული, გამოცემის წარდგენა სიმბოლურად გაიმართა რეაბილიტირებულ ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალში. იქ, სადაც 140 წლის წინ დიდი ილია სტუმრობდა იონა მეუნარეას; • ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ცენტრალური ბიბლიოთეკისა და წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ორგანიზებით ჩატარდა გრანდიოზული ახალგაზრდული საღამო. საღამოზე წიგნისმოყვარული ახალგაზრდების მიერ მოეწყო სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ: მთარგმნელისა და ცნობილი მოჭადრაკის, ფიდეს ოსტატის, მადონა ბოკუჩავას საჯარო ლექცია - საუბრები თანამედროვე იტალიელ
--------------------------------------	--

	<p>მწერლებსა და პოეტებზე. ორატორმა ახალგაზრდებს გააცნო ორიანა ფალაჩის, ელენა ფერანტესა და ალდა მერინის შემოქმედება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ ნიდერლანდებში მცხოვრები ქალბატონი თიკა სვანიძე - ვენკო და ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის ბაზაზე შექმნილი სამოყვარულო თეატრალური დასების მსახიობები, ქართული საერთაშორისო კალიგრაფიის სკოლის მოსწავლეები; • 2025 წლის 30-31 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ უკვე მეორედ უმასპინძლა საავტორო პროექტს „ლაზური წიგნიერების დღეები“. პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ეწვივნენ თურქეთში მოქმედი ლაზური ინსტიტუტის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მუსიკას; • 26 მაისს ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი - „თარგმნე ქართველი ავტორები“. პროექტის ფარგლებში მოსწავლე - ახალგაზრდებმა ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს 1918-1921 წლების ქართული ლიტერატურის რჩეული ნიმუშები გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებიდან. თარგმანების ავტორები დასაჩუქრდნენ წიგნებით; <p>„ამერიკულ კუთხეში“ აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა თემატური შეხვედრები, ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბები: ინგლისურის კლუბი სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის; მოზრდილთა უფასო ინგლისურის გაკვეთილები; ინგლისურის კლუბი მოზრდილთათვის; არტთერაპიის კლუბი; რობოტიკის კლუბი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით გასული წლის 30 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ოთხი მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორი დააჯილდოვა, მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დირექტორი ბესიკ არახამია, რომელსაც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალიონი და სიგელი გადაეცა.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნით დაინტერესება; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; • თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა. 	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; <ul style="list-style-type: none"> • მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ზუგდიდის ისტორიით, კულტურით, განათლებით, ეკონომიკით

			<p>დაინტერესებული მკითხველების ხელშეწყობა, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; • თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა
--	--	--	---

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (050204)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის შესაბამისი სამსახური, გასულ წელს პროგნოზირებული იყო 407.1 ათასი ლარი, გაზარჯულია 388.5 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საახალწლო და საშობაო ღონისძიების, ზუგდიდის საპატო მუქალაქისა და საპატო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, ასევე სხვადასხვა სახის 10 აქტივობის ფინანსურ მხარდაჭერაზე.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება; საზოგადოების მოტივირება კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში, გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა; საზოგადოების მეტი ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში; შემოსული მცირე პროექტების ფინანსური მხარდაჭერა;</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება; საზოგადოების მოტივირება კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში, გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა;</p>

	<p>ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სხვადასხვა სახის კონკურსებში; საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მიმართ მოსახლეობის პოზიტიური და ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა</p>	<p>საზოგადოების მეტი ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში; შემოსული მცირე პროექტების ფინანსური მხარდაჭერა; ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სხვადასხვა სახის კონკურსებში; საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მიმართ მოსახლეობის პოზიტიური და ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა</p>
--	---	--

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სახელოვნებო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს გასულ წელს ათვისებული აქვს 1277.5 (ერთი მილიონ ორასსამოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 1077.3 ათასი ლარი - ძირითად მომსახურება და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, 176,1 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 92.2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.</p> <p>2025 წელს, როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 40-მდე აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსამბლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და კონკურს ფესტივალებზე მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს, კერძოდ:</p> <p>2025 წლის 20 მარტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის მე-8 ეროვნული კონკურსი, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.</p> <p>2025 წლის 20-29 მარტს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავალი ვარსკვლავები“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.</p> <p>2025 წლის 17-23 მარტს ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა მე-17 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.</p> <p>2025 წლის 3 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა კარლ ჩერნის სახელობის მე-3 კონკურსი, რომელშიც პირველი ადგილი დაიმსახურა</p>

	საგუნდო - სამუსიკო სკოლის აღსაზრდელმა დარე ცინდელიანმა. 2025 წლის 11-17 ივნისს, საბერძნეთში ასპროვალტა-ვრასნაში გაიმართა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ოქროს ოცნება“, რომელშიც ანსამბლი „ლილე“ გახდა პირველი ადგილის მფლობელი და მიწვეულ იქნა ლას ვეგასში.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელოვნების მიმართულებით საბაზისო ცოდნის მქონე ახალგაზრდების აღზრდა; კულტურულ ცხვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.	მიღწეული შედეგი	ხელოვნების მიმართულებით საბაზისო ცოდნის მქონე ახალგაზრდების აღზრდა; კულტურულ ცხვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა (0503)		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს გახარჯულია 80.0 ათასი ლარი, რომელიც მიიღობა საცხენოსნო სპორტული ღონისძიების ორგანიზების და ცხენების საკვებით უზრუნველყოფაზე.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გარემოსთან ადაპტირების გაუმჯობესება.	მიღწეული შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გარემოსთან ადაპტირების გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (0504)		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის 2025 წლის 9 თვეში ასიგნება პროგნოზირებული იყო 607.0 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 601.0 ათასი ლარი.</p> <p>კლუბის საფეხბურთო სკოლაში, წლის დასაწყისიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიშები. გუნდები მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში.</p> <p>საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული U17-ისა და U15-ის „ვერცხლის ლიგის“ ჩემპიონატი დაიწყო მიმდინარე წლის 9 მარტიდან. სულ გაიმართა რვა ოფიციალური საშინაო და გასვლითი მატჩი.</p>		

	<p>სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ კლუბის შემდეგი ასაკობრივი გუნდები: U-10, U-11, U-12, U-13 და U-14.</p> <p>25, 26 და 27 სექტემბერს U11-ის ასაკობრივმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ირაკლი ქუთათელაძის სახელობის ტურნირში.</p> <p>საფეხბურთო კლუბს „ოდიში 1919“-ს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გადაეცა დოკუმენტაციის განახლებული პაკეტი და მიეცა შესაძლებლობა კატეგორიის შეცვლისა. როგორც ცნობილია კლუბს ამ ეტაპზე აქვს III კატეგორია. 2025 წელს კლუბმა გააკეთა განაცხადი საფეხბურთო სკოლების II კატეგორიაზე.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<p>ბავშვთა ფეხბურთში სპორტული შედეგების გაუმჯობესება, სპორტის აღნიშნულ სახეობაში ბავშვთა გუნდების ჩამოყალიბება, სპორტულ შეჯიბრებებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ბავშვთა ფეხბურთის რეზერვის ფორმირება</p>	მიღწეული შედეგი	<p>ბავშვთა ფეხბურთში სპორტული შედეგების გაუმჯობესება, სპორტის აღნიშნულ სახეობაში ბავშვთა გუნდების ჩამოყალიბება, სპორტულ შეჯიბრებებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ბავშვთა ფეხბურთის რეზერვის ფორმირება</p>

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვიღო პერიოდში პროგნოზირებული იყო 5561,9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5326,2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,561.9	5326.2	95.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,472.1	2447.4	99.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	606.8	583.5	96.2
06 01 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1,865.3	1,863.9	99.9
06 02	სოციალური დაცვა	3,008.6	2,801.6	93.1
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	339.3	334.5	98.6
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	43.9	43.4	98.9
06 02 03	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება	66.0	58.3	88.3
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	269.0	268.0	99.6

06 02 05	მართობელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	91.0	84.8	93.2
06 02 06	ხანდაზმულთა მხარდაჭერის პროგრამა	22.5	18.7	83.1
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	90.0	88.5	98.3
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	160.0	152.2	95.1
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	493.1	488.4	99.0
06 02 10	დეგნილთა მხარდაჭერის პროგრამა	44.0	43.3	98.4
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა	384.0	377.8	98.4
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	10.0	9.7	97.0
06 02 13	პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“	31.5	31.2	99.0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	964.3	802.8	83.3
06 03	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	81.2	77.2	95.1
06 03 01	სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა	49.8	48.8	98.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3.0	2.5	83.3
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა	28.4	25.9	91.2

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (06 01 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, 2025 წელს მიმართულია 583,5 ათასი ლარი, მათ შორის დელეგირებული თანხები 317.6 ათასი ლარი.</p> <p>შესაბამისი პროგრამით 2025 წელს უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით გატარებულია რიგი პრევენციული ღონისძიებები და ჩატარებულია კვლევები: სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დხეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 5276 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საექვო 1061 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური</p>

	<p>ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 20-ს, მგბ(-) 24-ს, ტუბერკულოზის ინფექციის კერებში 134 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.</p> <p>დარეგისტრირდა ცხოველთან ექსპოზიციის 2826 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 39 პირი, სხვა რაიონში მცხოვრები 493 პირი.</p> <p>ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 807 პირს, პირობითი 1909 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების შედეგად 212-მა პირმა.</p> <p>„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტის, აივ-ინფექციის, სიფილისისა და ც ჰეპატიტზე, სულ გასული წლის განმავლობაში გამოკვლეულია 621 ორსული, ტესტირებით დადებითი შედეგის მქონე 11 ორსულის ლაბორატორიული მასალა გაგზავნილი იყო კონფორმაციული კვლევისათვის, აქედან „ბ“ ჰეპატიტი დაუდასტურდა 3-ს, აივ-2, სიფილისი-1, ც ჰეპატიტი -5 ს.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01- 60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სალრიცხო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 84 მონიტორინგი ამბულატორიებში წინასწარ შემუშავებული გეგმა - გრაფიკის მიხედვით.</p> <p>2025 წელს გრიპის სეზონისთვის საქართველოს მასშტაბით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა, ოთხკომპონენტიანი, SANOFI PASTEUR-ის წარმოების ვაქცინით (Vaxigrip Tetra) რისკ ჯგუფების მიხედვით 3762 აცრა.</p> <p>2025 წლის ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 11 179 აცრა.მ.შ გეგმიური 10 279 : ბცვ ვაქცინაცია ჩაუტარდა 633 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 640 -ს, იმუნიზაცია ჰეპსაქციმით (6 ვალენტანი ვაქცინა) ჩატარდა 1513 აცრა, ტეტრაქსიმით(18 თვ;5 წლის ასაკში)1607, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1510 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 828, პნევმოკოკით 1468, აპვ ვაქცინით-1277, ტდ ვაქცინით-803 აცრა და არაგეგმიური 900 აცრა(აპვ გოგონები 13-45 წ-210 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ- 177 აცრა,პნევმოკოკი 60 წლ >24 აცრა), ბ -ჰეპატიტი 482(სამედიცინო პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები,წწ 10 წლის > 7).</p> <p>2025 წელს გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების მონიტორინგის ფარგლებში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 14 122, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 2058. ამბულატორიული მომსახურება გაეწია 64 179 პაციენტს, გრიპისმაგვარი დაავადება გამოვლენილი იყო 4 896 შემთხვევაში.</p> <p>სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2025 წელს მიღებულ იქნა 690 787,72 ლარის და გაცემული იქნა 682 667,25 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.</p> <p>2025 წელს ჩატარებული იქნა მონიტორინგი 136 სახელმწიფო საბავშვო ბაღში, კერძო - 22. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევები შესახებ ეცნობა ა(ა)იპ სკოლამდელ სადმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად. 45 საჯარო სკოლაში ჩატარდა მონიტორინგი.</p> <p>თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, ცენტრის მიერ განხორციელდა 230 მოწვევის აკრძალვის მონიტორინგი.</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 48 კაბინეტში, გამოვლინდა, რომ სასტერილიზაციო ოთახის მოწყობას საჭიროებს 6 კაბინეტი, ინსტრუმენტების სარეცხისადეზინფექციო საშუალებების სრულყოფილი ნაკრები არ გააჩნდათ 6 კაბინეტს, ნორმატივებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას სრულყოფილად აწარმოებს 30 ხოლო არ აწარმოებს 18 კაბინეტი, ნარჩენების გატანის წესის დარღვევა გამოვლინდა 8 კაბინეტში. თითოეულ წესის დამრღვევ სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელს მიეთითათ დარღვევებზე დროულად მოახდინონ რეაგირება და გონივრულ ვადაში მოახდინონ ხარვეზების აღმოფხვრა.</p> <p>პირველად ჯანდაცვაში C- ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ სკრინინგი ჩაუტარდა 1567 ბენეფიციარს , მათ შორის გამოვლინდა პირველად დიაგნოსტირებული C-ჰეპატიტის დადებითი -4, აივ-შიდსის 1 შემთხვევა. ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა ბაღების 2085 აღსაზრდელს, მათ შორის</p>
--	--

	<p>ინვაზირებული აღმოჩნდა 110 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკველეულთა 5%-ს.</p> <p>ცენტრმა განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩატარდა 192 ბიზნეს ოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 148 შემთხვევაში, არასრულად 44-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, მოსახლეობაში დაავადებების გავრცელების და აღმოცენების პრევენცია.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, ხელშეწყობილია მკურნალობაში დროული ჩართვა, მოსახლეობაში დაავადებების გავრცელების და აღმოცენების პრევენცია.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>სამედიცინო დახმარების პროგრამა (060103)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილება</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით გასული წლის 12 თვეში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაზე, მიიღარა სულ 3,311.2 ათასი ლარი, რითაც სოციალური სერვისი და დახმარება მიიღო 7259-მა ადამიანმა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დეგნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვა - საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 48 სხდომა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შუამდგომლობა გაუწია 479 მოქალაქეს. 5090 (ქალი-3494, კაცი-1596) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1863,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამების მიხედვით ასიგნებები მიიღარა:</p> <p>317,1 ათასი ლარი - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 1301-მა მოქალაქემ;</p> <p>73,9 ათასი ლარი-კორონაროგრაფიის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 82-მა მოქალაქემ;</p> <p>35,8 ათასი ლარი - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 40-მა მოქალაქემ;</p> <p>171,5 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 269 მოქალაქემ;</p> <p>196,4 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 990-მა მოქალაქემ;</p> <p>676,0 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 150 ბავშვი;</p> <p>55,9 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქვევითი აზილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 387-მა ბავშვმა;</p> <p>5,9 ათასი ლარი - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 12-მა მოქალაქემ;</p>		

	<p>16,8 ათასი ლარი - იშვიათი დაავადებების (გელიაკია/ ფენილკეტონურია/ მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე. ისარგებლოს 4 მოქალაქე;</p> <p>4,2 ათასი ლარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე (ექსკრემენტის მიმღები კონტინენერი). ისარგებლა 21-მა მოქალაქემ;</p> <p>35,9 ათასი ლარი - ბინაზე მყოფი პალატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთეურადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. ისარგებლოს 26 მოქალაქე;</p> <p>4,2 ათასი ლარი- 0-18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისათვის, იმპლანტის დამზარებელ საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე ისარგებლა 7 ბავშვმა;</p> <p>79,7 ათასი ლარი- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 1372-მა მოქალაქემ;</p> <p>85,6 ათასი ლარი - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე ისარგებლა 428-მა მოქალაქემ;</p> <p>ამასთან, ერთი მოქალაქის სტაციონარული მომსახურების თანხა 5,0 ათასი ლარი გაიხარჯა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც დაზუსტდა ჯანმრთელობის დაცვის (060103) პროგრამაში.</p>			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<table border="1"> <tr> <td data-bbox="418 730 915 1003">მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკაზე ცნობიერების ამაღლება</td> <td data-bbox="915 730 1101 1003">მიღწეული შედეგი</td> <td data-bbox="1101 730 1360 1003">შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის; ხელშეწყობილია დაავადებების პრევენცია</td> </tr> </table>	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკაზე ცნობიერების ამაღლება	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის; ხელშეწყობილია დაავადებების პრევენცია
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკაზე ცნობიერების ამაღლება	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის; ხელშეწყობილია დაავადებების პრევენცია		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური დაცვა (06 02)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში, 5004 (ქალი-3386, კაცი-1618) მოქალაქის სოციალურ დახმარებასა და სერვისებზე მიიმართა 2 801,6 ათასი ლარი. დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:</p> <p>334,5 ათასი ლარი-სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 725-მა ბენეფიციარმა. თანხა მიიმართა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთჯერადი უფასო კვების დასაფინანსებლად;</p> <p>43,4 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.</p> <p>58,3 ათასი ლარი - ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 196-მა ბენეფიციარმა.</p> <p>268,0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 944-მა მოქალაქემ.</p> <p>საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა - „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“-ს ფარგლებში, განხორციელდა 1715 გასვლა სხვადასხვა მიმართულებით, სერვისით ისარგებლა 255-მა მოქალაქემ;</p> <p>84,8 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 300-მა მოქალაქემ.</p> <p>18,7 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 44-მა ბენეფიციარმა.</p> <p>88,5 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, თანხა გახარჯულია</p> <p>87,5 ათასი ლარი - აღდგომისა და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს</p>

	<p>გადაცილებული ხანდაზმულების, უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისა და უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეების სასაჩუქრე პაკეტისათვის (550 მოსარგებლე);</p> <p>1,0 ათასი ლარი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების კვებით მომსახურება (ფურშეტი);</p> <p>152,2 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 155-მა მოქალაქემ. კერძოდ :</p> <p>137,2 ათასი ლარი - ჰემოდალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 81 ბენეფიციარის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 100-150 ლარის ოდენობით);</p> <p>14,0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი 50 სტუდენტის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);</p> <p>1,0 ათასი ლარი - სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა - „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამაში ჩართული 4 შშმ ბავშვის თანამხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის;</p> <p>488,4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე. ისარგებლა 212-მა მოქალაქემ, თანხა მიიმართა:</p> <p>319,4 ათასი ლარი - 143 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით);</p> <p>141,5 ათასი ლარი - ხანძრის შედეგად დაზარალებული 32 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 5 000 ლარის ფარგლებში);</p> <p>8,2 ათასი ლარი - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 11 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 3 000 ლარის ფარგლებში);</p> <p>19,3 ათასი ლარი - მეწყრის შედეგად დაზარალებული 26 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისთვის (500 ლარი თითოეულს);</p> <p>43,3 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 433-მა ბენეფიციარმა, (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);</p> <p>377,7 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე. ისარგებლა 1398-მა მოქალაქემ. კერძოდ, აღნიშნული თანხა მიიმართა:</p> <p>39,7 ათასი ლარი - 406 სოციალურად დაუცველი ოჯახის კომუნალური გადასახადებისთვის, (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში);</p> <p>270,0 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 822 ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის (თითოეულს 100- 500 ლარის ფარგლებში);</p> <p>68,0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი 170 ოჯახის გაზიფიცირებისთვის.</p> <p>9,8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა - დაფინანსდა 2 პროექტი.</p> <p>31,2 ათასი ლარი - პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ – ისარგებლა 29 ბენეფიციარმა;</p> <p>802,8 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა. 2024-2025 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად პროგრამის ფარგლებში დასრულდა 9 საცხოვრებელი სახლის სამშენებლო და 10 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	გაზრდილი მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.	მიღწეული შედეგი	გაზრდილი მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა (06 03)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2025 წლის მონაცემებით 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერასა და სერვისებზე საკასო შესრულებამ ჯამში შეადგინა 77,2 ათასი ლარი. დაფინანსება/მომსახურება ქვეპროგრამების მიხედვით მიიღო 189 (101 გოგონა, 88 ვაჟი) მოსარგებლემ, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად:</p> <p>48,7 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე. ისარგებლა 89-მა ბენეფიციარმა;</p> <p>2,5 ათასი ლარი - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღსანიშნავად; 1 ივნისის გასართობ ღონისძიებაში მონაწილეობდა 60 ბავშვი;</p> <p>13,0 ათასი ლარი - ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე. ისარგებლა 30-მა ბავშვმა;</p> <p>13,0 ათასი ლარი - საცურაო აუზის მომსახურებაზე (აქვათერაპია). ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.</p> <p>განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 95 ვიზიტი, რომლის შედეგადაც ბავშვიანი ოჯახები ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე, განხორციელდა რამდენიმე მათგანის გადამისამართება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში. 2025 წლის განმავლობაში (გაზაფხული-შემოდგომა) მშობლებისთვის ჩატარდა ტრენინგების 2 ციკლი თემაზე: „პოზიტიური მშობლობა“. ტრენინგები მოიცავს 6 სესიისგან შემდგარ საგანმანათლებლო მოდულს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 13-მა მშობელმა (I ციკლი-7 მშობელი, II ციკლი-6 მშობელი). ტრენინგი მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგები ჩატარდება მომავალშიც, წელიწადში ორჯერ.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების და ოჯახების შემცირებული რაოდენობა, გაზრდილი სოციალური ფუნქციონირება, ფიზიკური და ემოციური თვალსაზრისით დაცული ბავშვიანი ოჯახების გაზრდილი რაოდენობა, გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და განათლების ხარისხი.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების და ოჯახების შემცირებული რაოდენობა, გაზრდილი სოციალური ფუნქციონირება, ფიზიკური და ემოციური თვალსაზრისით დაცული ბავშვიანი ოჯახების გაზრდილი რაოდენობა, გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და განათლების ხარისხი.</p>

III თავი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ბიუჯეტების შესრულება (ათას ლარებში)

ინფორმაცია მოიცავს გეგმიურ და ფაქტიურ მონაცემებს საანგარიშო პერიოდისთვის შესაბამისი იურიდიული პირების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების (მათ შორის, წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული ნაშთები) შესახებ.

ნაერთი ფორმა

თანხა ათას ლარებში

დასახელება	სულ ფაქტიური შესრულება	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი

შემოსულობები	48,834.4	3,045.5	45,788.9
შემოსავლები	48,834.4	3,045.5	45,788.9
სხვა შემოსავლები	3,045.5	3,045.5	-
გრანტები (სუბსიდია)	45,788.9	-	45,788.9
გადასახდელები	48,556.9	2,942.7	45,614.2
ხარჯები	47,849.2	2,709.2	45,140.0
შრომის ანაზღაურება	31,564.0	625.2	30,938.8
საკონელი და მომსახურება	16,025.2	1,986.3	14,038.9
სუბსიდიები	40.6	40.6	-
გრანტები	4.5	4.5	-
სოციალური უზრუნველყოფა	159.1	-	159.1
სხვა ხარჯები	55.8	52.6	3.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	707.7	233.5	474.2
ნაშთის ცვლილება	277.5	102.8	174.7
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	461.5	448.1	13.4
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	739.0	550.9	188.1
ზუგდიდასუფთავების ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	8,289.1	92.0	8,197.1
შემოსავლები	8,289.1	92.0	8,197.1
სხვა შემოსავლები	92.0	92.0	
გრანტები (სუბსიდია)	8,197.1		8,197.1
გადასახდელები	8,326.3	129.2	8,197.1
ხარჯები	8,249.0	51.9	8,197.1
შრომის ანაზღაურება	6,272.0		6,272.0
საკონელი და მომსახურება	1,954.0	50.6	1,903.4
სოციალური უზრუნველყოფა	21.7		21.7
სხვა ხარჯები	1.3	1.3	
არაფინანსური აქტივების ზრდა	77.3	77.3	
ნაშთის ცვლილება	(37.2)	(37.2)	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	54.5	54.5	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	17.3	17.3	
ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,348.7	71.2	1,277.5
შემოსავლები	1,348.7	71.2	1,277.5
სხვა შემოსავლები	71.2	71.2	
გრანტები (სუბსიდია)	1,277.5		1,277.5
გადასახდელები	1,351.6	74.1	1,277.5
ხარჯები	1,343.4	65.9	1,277.5

შრომის ანაზღაურება	1,067.7		1,067.7
საქონელი და მომსახურება	273.8	65.2	208.6
სოციალური უზრუნველყოფა	1.2		1.2
სხვა ხარჯები	0.7	0.7	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.2	8.2	
ნაშთის ცვლილება	(2.9)	(2.9)	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	20.9	20.9	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	18.0	18.0	
კეთილმოწყობის ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	6,125.0	64.6	6,060.4
შემოსავლები	6,125.0	64.6	6,060.4
სხვა შემოსავლები	64.6	64.6	
გრანტები (სუბსიდია)	6,060.4		6,060.4
გადასახდელები	6,119.3	58.9	6,060.4
ხარჯები	5,803.6	58.2	5,745.4
შრომის ანაზღაურება	4,241.9		4,241.9
საქონელი და მომსახურება	1,548.1	57.4	1,490.7
სოციალური უზრუნველყოფა	12.8	-	12.8
სხვა ხარჯები	0.8	0.8	
არაფინანსური აქტივების ზრდა	315.7	0.7	315.0
ნაშთის ცვლილება	5.7	5.7	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	5.7	5.7	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	11.4	11.4	-
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,290.4	52.8	1,237.6
შემოსავლები	1,290.4	52.8	1,237.6
სხვა შემოსავლები	52.8	52.8	
გრანტები (სუბსიდია)	1,237.6		1,237.6
გადასახდელები	1,234.8	52.2	1,182.6
ხარჯები	1,207.8	32.0	1,175.8
შრომის ანაზღაურება	982.0		982.0
საქონელი და მომსახურება	213.1	32.0	181.1
სოციალური უზრუნველყოფა	12.7		12.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	27.0	20.2	6.8
ნაშთის ცვლილება	55.6	0.6	55.0
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	14.1	14.1	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	69.7	14.7	55.0
ხელოვნება და კულტურა	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,942.6	22.9	1,919.7
შემოსავლები	1,942.6	22.9	1,919.7
სხვა შემოსავლები	22.9	22.9	

გრანტები (სუბსიდია)	1,919.7		1,919.7
გადასახდელები	1,938.1	18.4	1,919.7
ხარჯები	1,938.1	18.4	1,919.7
შრომის ანაზღაურება	1,594.3		1,594.3
საქონელი და მომსახურება	342.3	18.4	323.9
სოციალური უზრუნველყოფა	1.5		1.5
ნაშთის ცვლილება	4.5	4.5	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	6.8	6.8	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	11.3	11.3	-
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,671.0	276.5	1,394.5
შემოსავლები	1,671.0	276.5	1,394.5
სხვა შემოსავლები	276.5	276.5	
გრანტები (სუბსიდია)	1,394.5		1,394.5
გადასახდელები	1,645.5	251.0	1,394.5
ხარჯები	1,608.3	213.8	1,394.5
შრომის ანაზღაურება	1,342.9	1.4	1,341.5
საქონელი და მომსახურება	222.8	191.1	31.7
გრანტები	4.5	4.5	
სოციალური უზრუნველყოფა	21.3		21.3
სხვა ხარჯები	16.8	16.8	
არაფინანსური აქტივების ზრდა	37.2	37.2	
ნაშთის ცვლილება	25.5	25.5	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	25.3	25.3	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	50.8	50.8	-
ჯანდაცვის ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	624.2	40.6	583.6
შემოსავლები	624.2	40.6	583.6
სხვა შემოსავლები	40.6	40.6	
გრანტები (სუბსიდია)	583.6		583.6
გადასახდელები	624.2	40.7	583.5
ხარჯები	620.5	40.7	579.8
შრომის ანაზღაურება	352.6	-	352.6
საქონელი და მომსახურება	205.9	0.1	205.8
სუბსიდიები	40.6	40.6	
სოციალური უზრუნველყოფა	18.2		18.2
სხვა ხარჯები	3.2		3.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	3.7		3.7
ნაშთის ცვლილება	-	(0.1)	0.1
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0.1	0.1	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	0.1	(0.0)	0.1

ოდიში 1919	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,375.2	585.9	789.3
შემოსავლები	1,375.2	585.9	789.3
სხვა შემოსავლები	585.9	585.9	
გრანტები (სუბსიდია)	789.3		789.3
გადასახდელები	1,271.0	481.7	789.3
ხარჯები	1,267.4	478.1	789.3
შრომის ანაზღაურება	623.1		623.1
საკონელი და მომსახურება	611.3	445.1	166.2
სხვა ხარჯები	33.0	33.0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	3.6	3.6	
ნაშთის ცვლილება	104.2	104.2	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	18.1	18.1	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	122.3	122.3	-
მუნიციპალური ტრანსპორტი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	6,807.8	1,641.2	5,166.6
შემოსავლები	6,807.8	1,641.2	5,166.6
სხვა შემოსავლები	1,641.2	1,641.2	-
გრანტები (სუბსიდია)	5,166.6		5,166.6
გადასახდელები	6,830.6	1,664.0	5,166.6
ხარჯები	6,830.6	1,664.0	5,166.6
შრომის ანაზღაურება	623.8	623.8	-
საკონელი და მომსახურება	6,206.8	1,040.2	5,166.6
ნაშთის ცვლილება	(22.8)	(22.8)	-
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	154.3	154.3	-
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	131.5	131.5	-
შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,097.8	197.8	900.0
შემოსავლები	1,097.8	197.8	900.0
სხვა შემოსავლები	197.8	197.8	
გრანტები (სუბსიდია)	900.0		900.0
გადასახდელები	952.9	172.5	780.4
ხარჯები	835.1	86.2	748.9
შრომის ანაზღაურება	489.4		489.4
საკონელი და მომსახურება	345.7	86.2	259.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	117.8	86.3	31.5
ნაშთის ცვლილება	144.9	25.3	119.6
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	161.7	148.3	13.4
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	306.6	173.6	133.0
სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	15,279.8	-	15,279.8
შემოსავლები	15,279.8	-	15,279.8
გრანტები (სუბსიდია)	15,279.8		15,279.8

გადასახდელები	15,279.8	-	15,279.8
ხარჯები	15,181.4	-	15,181.4
შრომის ანაზღაურება	11,687.5		11,687.5
საქონელი და მომსახურება	3,425.7		3,425.7
სოციალური უზრუნველყოფა	68.2		68.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	98.4		98.4
ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,182.5	-	1,182.5
შემოსავლები	1,182.5	-	1,182.5
გრანტები (სუბსიდია)	1,182.5		1,182.5
გადასახდელები	1,182.5	-	1,182.5
ხარჯები	1,169.0	-	1,169.0
შრომის ანაზღაურება	1,111.0		1,111.0
საქონელი და მომსახურება	58.0		58.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	13.5		13.5
სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი	სულ ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრების ფაქტი	მ.შ.მუნიციპალური ბიუჯეტის ფაქტი
შემოსულობები	1,800.3	-	1,800.3
შემოსავლები	1,800.3	-	1,800.3
გრანტები (სუბსიდია)	1,800.3		1,800.3
გადასახდელები	1,800.3	-	1,800.3
ხარჯები	1,795.0	-	1,795.0
შრომის ანაზღაურება	1,175.8		1,175.8
საქონელი და მომსახურება	617.7		617.7
სოციალური უზრუნველყოფა	1.5		1.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	5.3		5.3